პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი № 302 (11913) | პარასკევი, 30 დეკემბერი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

გუშინ თბილისში მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამ.

სესიამ მოისმინა მოხსენებები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1961 წლის სახელმწიფო გეგმის, საქართველოს სსრ 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

შემდეგ დაიწყო კამათი მოხსენებების გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის სხდომა 1960 წლის 29 დეკემბერს. ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე, დეპუტატი ო. დ. გოცირიძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და გ. ვახტანგაძისა.

★ ★ ★

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

ღრმა კმაყოფილების გრძნობით მიაცილებენ საბჭოთა ადამიანები 1960 წელს — სკკპ XXI ყრილობის დიად წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის მათი თავდადებული ბრძოლის მეორე წელს, პროგრესული ძალების, მშვიდობისა და მეგობრობის ძალების გამარჯვების წელს, რომელმაც მოწინავე კაცობრიობას განუმტკიცა რწმენა ბედნიერი მომავლისა, რომელსაც არ აბნელებს ახალი ომის აჩრდილი.

1960 წლის უკანასკნელ დღეებს ზედიზედ მოაქვთ სასიხარულო ამბები. ამ წლის ღირსეული დაგვირგვინება იყო კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირი. განცხადებამ და მიმართვამ მსოფლიოს ხალხებისადმი, რომლებიც ამ თათბირმა მიიღო, გამარჯვების გზა უჩვენა მთელი მსოფლიოს კომუნისტებს, მთელ პროგრესულ ძალებს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მათ ბრძოლაში.

ამას წინათ მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიამ, რომელმაც განიხილა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საკითხები, მიიღო დადგენილებანი ჩვენი სამშობლოს ეკონომიკის ახალი მძლავრი აღმავლობის, საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუწყვეტელი ამაღლების უზრუნველსაყოფად. საბჭოების ქვეყნის პარლამენტმა ერთსულოვნად მოიწონა საბჭოთა მთავრობის თანამიმდევრული ბრძოლა ჩვენს პლანეტაზე მტკიცე მშვიდობის უზრუნველსაყოფად.

საბჭოთა საქართველოს მშრომელები სიხარულის მღელვარებით ეგებებიან მომავალ წელს. შვიდწლედის მეორე წელმა ბევრი წარმატება მოუტანა მათ. მოპოვებულია ახალი დიდი გამარჯვებანი რესპუბლიკის სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. ამას წინათ წლიური დავალების ვადამდე შესრულება უპატაჟა საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ. ხოლო სულ რამდენიმე დღის წინათ რესპუბლიკის ყველა კუთხეს მოეფინა სასიხარულო ამბავი: სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მაღალი შეფასება მისცეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მუშაკებისა და ყველა მშრომელის თავდადებულ შრომას სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

ასეთი უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში პარტიის ცენტრალური კომიტეტი იანვრის პლენუმისათვის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავისათვის მზადების შესანიშნავ დღეებში შეიკრიბა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

მთავრობის შენობაზე აღმართულია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ალამი. სხდომათა ვრცელ დარბაზში დილიდანვე შეიკრიბნენ ხალხის არჩეულნი, რომელნიც ჩამოვიდნენ რესპუბლიკის ყველა კუთხიდან — მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სახელგანთქმული ნოვატორები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, საბჭოთა არმიის წარმომადგენლები. ესწრება მრავალი სტუმარი.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ვ. დ. კუპრაძე**, მისი მოადგილეები დეპუტატები **მ. ხ. ბაქრაძე, ხ. ს. ბლაუბა, ე. ა. გუბიევი, ვ. მ. სირაძე.**

მთავრობის ლოჟებში არიან ამხანაგები **ვ. პ. მჟავანანძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, პ. ვ. კოვანოვი, გ. ი. ქადაგიძე, გ. ნ. ჯიბლაძე, ფ. დ. დუმბაძე, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, მ. მ. ლელაშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, ი. გ. რთველიაშვილი, ე. ა. შევარდნაძე,** მთავრობის წევრები — რესპუბლიკის მინისტრები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ვ. დ. კუპრაძემ.**

ერთხმად დამტკიცდა სესიის შემდეგი დღის წესრიგი:

1. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1961 წლის სახელმწიფო გეგმა.

2. საქართველოს სსრ 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.

შეაქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

3. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების პროექტების დამტკიცება.

შეაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიას.

სხდომა ამტკიცებს სესიის რეგლამენტსა და მუშაობის წესს.

შემდეგ სესია იწყებს დღის წესრიგის საკითხთა განხილვას.

სიტყვა მოხსენებისათვის „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1961 წლის სახელმწიფო გეგმა“ ეძლევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ **ო. დ. გოცირიძეს.**

თანამოხსენება „საქართველოს სსრ 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება“ გააკეთა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა, დეპუტატმა **ბ. ა. ჩხეიძემ.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენება გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა **ვ. ზ. თოხაძემ.** მან კომისიის სახელით შეიტანა წინადადება — მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1961 წლის გეგმა, წარმოდგენილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ, დამტკიცდეს საბიუჯეტო კომისიის შესწორებათა გათვალისწინებით საქართველოს სსრ 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, აგრეთვე საქართველოს სსრ 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

უმაღლესი საბჭო იწყებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1961 წლის სახელმწიფო გეგმისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვას.

კამათში მონაწილეობა მიიღეს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ა. ე. მელაძემ,** დეპუტატებმა **ლ. მ. უკლებამ** (ბათუმის საქარხნო საარჩევნო ოლქი, აჭარის ასსრ), **დ. ვ. გოგოხიამ** (გალის საარჩევნო ოლქი, აფხაზეთის ასსრ), **ა. ყ. ასათაშვილმა** (თელავის — სტალინის საქალაქო საარჩევნო ოლქი, თელავის რაიონი).

ამით დამთავრდა სესიის დილის სხდომა.

საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის საღამოს სხდომა გაიხსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ **ვ. დ. კუპრაძის** თავმჯდომარეობით, გრძელდებოდა განხილვა მოხსენებებისა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1961 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

კამათში გამოვიდნენ დეპუტატები **თ. ა. გოგია** (რუხის საარჩევნო ოლქი, ზუგდიდის რაიონი), **დ. ი. ჩხიკვიშვილი** (გომის საარჩევნო ოლქი, სამტრედიის რაიონი), **ვ. გ. სანაკოევი** (სტალინირის სასოფლო საარჩევნო ოლქი, სტალინირის რაიონი), საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **თ. ვ. ლაშქარაშვილი,** დეპუტატები **შ. ს. კობახიძე** (ციროვის საარჩევნო ოლქი, ქ. ქუთაისი), **ს. ვ. ოჰანესიანი** (დილიხის საარჩევნო ოლქი, ახალქალაქის რაიონი), **ე. ნ. თვალიაშვილი** (შინდისის საარჩევნო ოლქი, გორის რაიონი), **მ. კ. ყულიევი** (ამამლოს საარჩევნო ოლქი, დმანისის რაიონი.)

კამათის მონაწილეებმა ილაპარაკეს, თუ რა შრომითი წარმატებანი მოიპოვეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა და კულტურის სხვა დარგების მუშაკებმა შვიდწლედის მეორე წელს, მათ შეიტანეს მნიშვნელოვანი წინადადებანი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდების რეზერვების უკეთ გამოყენებისათვის, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების, კულტურის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.

ყველა ორატორმა აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანად შეესაბამება ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავების პასუხსაგებ ამოცანებს, მშრომელთა კეთილდღეობის ზრდას.

30 დეკემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია განაგრძობს მუშაობას. (საქდესი).

ახალი წლის მიჯნაზე

ყვარლის რაიონის მშრომელებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის მზადების დღეებში უფრო გააძლიერეს მუშაობის ტემპი, მიმდინარე საბოლოო ანგარიშებით შესრულებისათვის. 20 დეკემბრისათვის გადაჭარბებით არის შესრულებული მრავალწლიანი ნარგავების გაშენების გეგმა: ვენახი გაშენდა 211 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 190 ჰექტარისა, შესრულებულია აგრეთვე ხეხილის, ყაზანლიყის ვარდისა და თუთის გაშენების გეგმები.

ახალი-წლის წინა დღეებში კარგად იმუშავეს აბაშის რაიონის კოლმეურნეობების მექანიზატორებმა. რაიონის კოლმეურნეობებში 15 დეკემბრისათვის შესრულებულია მზრალად ხვნის გეგმა. მოხნულია 1.570 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1,500 ჰექტარისა. ახლა სოფლის მეურნეობის მშრომელები ენერგიულად იბრძვიან სასოფლო-სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრებისათვის და პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ქუთაისი, 29 დეკემბერი. (საქდესი). ქალაქის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა შვიდწლედის მეორე წლის პროგრამა და გეგმის გადაჭარბებით გამოუშვა ათეულ მილიონობით მანეთის პროდუქცია. დიდი ხანია უკვე მომავალი წლის ანგარიშში შრომობენ ახრეშუმის კომბინატის, ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის, ლიტოპონის, მინის ტარის, საკონსერვო და ღვედის ქარხნების კოლექტივები.

ახალ სახეობათა პროდუქციის ათვისებით ხვდებიან ახალ წელს საავტომობილო ქარხნის ფილიალის, ელექტრომექანიკური ქარხნისა და სხვა საწარმოთა კოლექტივები.

ვანის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს მრავალწლიანი კულტურების გაშენების წლიური გეგმა. ახალი ვენახები გაშენდა 80 ჰექტარზე, ჩაის პლანტაციები — 60 ჰექტარზე, ხეხილი — 57 ჰექტარზე, კეთილშობილი დაფნა — 16 ჰექტარზე, თუთის ნარგავები — 7 ჰექტარზე. (საქდესი).

გულითადი მილოცვა

მოსკოვი, 28 დეკემბერი. (საქდესი), სიამაყით აკვირდებენ შვიდწლედის მეორე წლის შედეგებს აზერბაიჯანის საზღვაო ნავთობის სარეწების მშრომელები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის — აზერბაიჯანის საპატიო მენავთობის — სახელზე გაგზავნილ წერილში ისინი იუწყებიან, რომ „ნეფტიანიე კამნის“ სარეწების მუშაკებმა ღირსეულად შეასრულეს თავიანთი სიტყვა, გაანადღეს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით ნ. ს. ხრუშჩოვმა მიულოცა საზღვაო სარეწების მენავთობეებს დიდი შრომითი წარმატებანი. თავის მისალმებაში იგი წერს, რომ ახლაც კარგად ახსოვს თავისი ყოფნა საზღვაო ნავთობის სარეწებში მიმდინარე წლის გაზაფხულზე.

მეტად სასიამოვნოა, ნათქვამია ნ. ს. ხრუშჩოვის წერილში, რომ თქვენ არ კმაყოფილდებით მიღწეული წარმატებებით და დაისახეთ დიდი და კეთილშობილური მიზანი — უკვე 1961 წელს მიაღწიოთ ნავთობის მოპოვების იმ დონეს, რაც დაგეგმილია შვიდწლედის ბოლოსათვის.

თათბირი-სემინარი ლექციური პროპაგანდის საკითხებზე

1960 წლის 23-დან 28 დეკემბრამდე მოსკოვში გაიმართა სრულიად საკავშირო თათბირი-სემინარი ლექციური პროპაგანდის საკითხებზე. თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის საოლქო, სამხარეო და ქალაქის კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებების ლექტორთა ჯგუფების გამგეებმა და ხელმძღვანელებმა, საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და სამეცნიერო ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების, ცენტრალური იდეოლოგიურ დაწესებულებათა, პრესის, რადიოს ხელმძღვანელმა მუშაკებმა.

მოხსენება „კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის შედეგების შესახებ“, რომელიც გაიმართა მოსკოვში 1960 წლის ნოემბერში, გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ფ. რ. კოზლოვმა, რომელსაც თათბირის მონაწილეები გულთბილად შეხვდნენ.

გარდა ამისა, თათბირის მონაწილეებს წაუკითხეს მთელი რიგი მოხსენებები და ლექციები საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობისა და შინაგანი განვითარების აქტუალურ პრობლემებზე. თანამედროვე პირობებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე ილაპარაკა ლ. თ. ილიჩოვმა. მოხსენება — საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ძირეული პრობლემები თანამედროვე ეტაპზე გააკეთა ბ. ნ. პონომარიოვმა. მოხსენება თემაზე: „ახალი ეტაპი მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარებაში“ წაიკითხა ლ. ნ. ტოლკუნოვმა.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. ა. არზუმანიანმა წაიკითხა ლექცია „კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ახალი ეტაპის შესახებ“, აკადემიკოსმა ე. მ. ჟუკოვმა — „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შეტევით კოლონიური მონობის დამხობა“, აკადემიკოსმა პ. ნ. ფედოსეევმა — „თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიური თეორიები ომისა და მშვიდობისა“ და სხვ.

თათბირის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ლექციური პროპაგანდის გამოცდილება.

ამერიკელი მეატომეენი აიარაღებენ იტალიას

რომი, 29 დეკემბერი. (საქდესი). ამ დღეებში შეიერთებულმა შტატებმა იტალიის სამხედრო საზღვაო ფლოტს გადასცეს მართული ყუმბარების „ტერიერის“ გასაშვები დანადგარის პირველი ნაწილები. ამ ყუმბარებით აღჭურვილი იქნება კრეისერი „გარიბალდი“, იუწყება ანსას საგაზეთო.

„ეს, — განაგრძობს საგაზეთო, — პირველია მართული ყუმბარების „დედამიწა-ჰაერის“ დანადგართაგან, რომლებიც ამერიკის სამხედრო დახმარების პროგრამის ფარგლებში მიეცემა იტალიას.

ახალი ოპერა თანამედროვე თემაზე

გუშინ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ნაჩვენები იქნა კომპოზიტორ ა. ანდრიაშვილის ოპერა „ზვავი“. ოპერის ლიბრეტო დაწერა კომპოზიტორმა დრამატურგ მ. მრევლიშვილთან ერთად.

ოპერა „ზვავი“ ასახავს თანამედროვე ცხოვრებას. მასში კომპოზიტორმა უხვად გამოიყენა ქართული ეროვნული მუსიკალური ფოლკლორის მოტივები.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ: ნ. ქაჯაია (ლელა), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ლ. არაქელოვი (ამირანი) და თ. მუშკუდიანი (თინიბეგი), ვ. გეგეჭაძე (გეგა), ა. მურადოვა (საბედა), გ. ტორონჯაძე (იანკო), შ. მეძველია (ლაზრო) და სხვები.

დირიჟორია სსრ კავშირის სახალხო არტისტი ო. დიმიტრიადი.

დადგმა ეკუთვნის გ. გაჩეჩილაძეს, მხატვრული გაფორმება — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ი. ასკურავას

ოპერა გულთბილად მიიღო მაყურებელმა.

სპექტაკლს ესწრებოდნენ ამხანაგები **ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, პ. ვ. კოვანოვი, გ. ი. ქადაგიძე, გ. ნ. ჯიბლაძე, ი. გ. რთველიაშვილი, გ. ი ჩოგოვაძე, ე. ა. შევარდნაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1961 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ო. დ. გოცირიძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სესიის განსახილველად შემოაქვს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1961 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტი.

სახალხო მეურნეობის გეგმა შემუშავებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ისტორიული ყრილობის გადაწყვეტილებების საფუძველზე, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის შესაბამისად. გეგმა ემყარება ახალი ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვას, ითვალისწინებს მძიმე ინდუსტრიის უპირატეს განვითარებას და სოფლის მეურნეობის შემდგომ განმტკიცებას.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების კარგად მომდინარეობს. ყველგან ფართოდაა გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება 1960 წლის გეგმების ვადამდე აღრე შესასრულებლად, საქართველოს კომუნისტური პარტიის შემნისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის აღსანიშნავად — ახალი შრომითი გამარჯვებების მოსაპოვებლად. საწარმოებსა და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე იზრდება კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელთა რიცხვი, ფართოდ ინერგება მოწინავეთა გამოცდილება.

დიდი ორგანიზაციული სამუშაო, რომელსაც ახორციელებს კომუნისტური პარტია და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში, საბჭოთა დელეგაციის ღირსშესანიშნავი მოღვაწეობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე, ხალხთა ბედნიერებისა და აყვავების და მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლის ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით, კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირის განსახილველ და მიმართვა მსოფლიოს ყველა ხალხებისადმი პოულობენ მთელი საბჭოთა ხალხის ერთსულოვან მოწონებასა და მხარდაჭერას.

კომუნისტური მშენებლობის ლენინური გეგმის ცხოვრებაში განუხრელად გატარება გამოხატავს საბჭოთა ხალხის ოცნებასა და იმედებს, რაც აღფრთოვანებს ხალხს ახალი შრომითი მგრძნობიარეობის, ინიციატივისა და შემოქმედებითი ნიჭის განვითარებისათვის.

ყოველივე ეს ჩვენ ურყევ რწმენას გვიქმნის იმაში, რომ შვიდწლედის მომავალ მესამე წელს სახალხო მეურნეობის განვითარების დასახული გეგმები შესრულდება, შესრულდება გადაჭარბებით, რომ საქართველოს მშრომელები კომუნისტური მშენებლობის გზაზე მოიპოვებენ ახალ წარმატებებს.

ამხანაგო დეპუტატებო!

ნება მიბოძეთ მოკლედ მოგახსენოთ ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის ძირითად შედეგებზე.

სამეურნეო საქმიანობაში პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობის შემდგომი გაძლიერების შედეგად, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით და მოწინავე გამოცდილების დანერგვის, ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის გაძლიერებით, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარება წინ უსწრებს სახალხო მეურნეობის გეგმის დავალებებს.

შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრებით 1960 წლისათვის გათვალისწინებული იყო მრეწველობის საერთო პროდუქციის მატება 1958 წელთან შედარებით 12 პროცენტით, ამ პერიოდში მრეწველობის საერთო პროდუქცია ფაქტიურად გაიზარდა 15 პროცენტით, ამრიგად საშუალო წლიური ზრდა შეადგენს 7,2 პროცენტს ნაცვლად საკონტროლო ციფრებით დაგეგმილი 5,7 პროცენტისა.

1960 წლის სამრეწველო წარმოების გეგმა, მიუხედავად ღვინის წარმოების გეგმის შეუსრულებლობისა, სეტყვიანობისა და ყურძნის მოუსავლიანობის გამო, შესრულებული იქნება 102 პროცენტით. ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა ვადაზე აღრე — 24 დეკემბრისათვის შეასრულეს 1960 წლის საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა და ამჟამად პროდუქციას უშვებენ გეგმის ზევით. საწარმოო გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ სახალხო მეურნეობის სამეურნეო საბჭოს, აგდგილობრივ მეურნეობათა საბჭოების და საქართველოს სსრ თითქმის ყველა სამინისტროსა და უწყებების საწარმოები.

გადაჭარბებით იქნება შესრულებული თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, ფოლადის მილების, მანგანუმის შენადნობების, მანგანუმის სასაქონლო მადნის, ნავთობის გადამუშავების, ელექტროენერგიის გამომუშავების, ლითონსაჭრელი ჩარხების, კვების მრეწველობის, გაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ტექნიკური მოწყობილობის, სატვირთო ავტომობილების, ცემენტის, ფეხსაცმლის, ხორცის, ერბო-კარაქის, მოუხდელი რძის პროდუქტების, ნატურალური ხარისხოვანი ჩაის, მინერალური წყლების, ქიმიის საყოფაცხოვრებო საქონლის, პიანინოებისა და როიალების, სამაგშო სათამაშოებისა და სახალხო მოხმარების რიგი სხვა საქონლის წარმოების გეგმა.

მაღალი ტემპებით ვითარდება მანქანათმშენებლობა — ტექნიკური პროგრესის საფუძველი სახალხო მეურნეობაში. მანქანათმშენებლობის და ლითონდამუშავების პროდუქცია გასულ წელთან შედარებით გაიზარდა 33,7 პროცენტით, ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებლობის პროდუქცია 1,8-ჯერ, მძიმე მანქანათმშენებლობის 21,9 პროცენტით.

სამშენებლო მასალების წარმოება გაიზარდა 12,9 პროცენტით, მათ შორის რკინაბეტონის კონსტრუქციების და დეტალების — 22,9 პროცენტით, ხოლო კედლის მასალის ყველა სახეობის წარმოება — 1,3-ჯერ. გაიზარდა სამშენებლო დეტალების ქარხნული წესით დამზადება და გასულ წელთან შედარებით უფრო ფართო გავრცელება პოვა მშენებლობის ინდუსტრიულმა მეთოდებმა.

1960 წელს რესპუბლიკაში განხორციელებულია დიდი სამუშაოები საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, მოწინავე ტექნიკის და ტექნოლოგიის დანერგვისათვის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში.

რესპუბლიკის მანქანათსამშენებლო საწარმოებში წარმატებით მიმდინარეობს ლითონდასამუშავებელი ჩარხებისა და მოწყობილობების ახალ სახეობათა ათვისება. თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელმა ქარხანამ ითვისა მაღალი წარმადობის მილსაკუთხავი ჩარხების გამოშვება, ქუთაისის ელექტრომექანიკურმა ქარხანამ ელექტროობურღებისა და დასაყურსი ელექტროტუმბოებისა ნავთობის მრეწველობისათვის და სხვა.

სამეცნიერო-საკვლევო და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მიერ კონსტრუირებულია მთემატიკური სამართავი მანქანების ახალი ნიმუშები მრეწველობის სხვადასხვა დარგებისათვის, კერძოდ, ფეროშენადნობების ღუმელებში ელექტროდეგიმის მარეგულირებელი სამართავი მანქანები ზამოროტიფსა და ზესტაფონის ფეროშენადნობების ქარხნებისთვის, სბორძეფე პროცესების სამართავი რიგი მანქანები და მთემატიკური სამართავი მანქანები მწვანე ბაიხაო ჩაის გადასამუშავებელი წარმოების ავტომატური პროცესებისათვის და სხვა.

ქარგ შედეგებს მიაღწიეს ჩვენი რესპუბლიკის მეტალურგებმა ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში სბრძედე და მარტენის წარმოებაში ბუნებრივი გაზის ათვისების საქმეში. სბრძედე წარმოებაში ბუნებრივი გაზის გამოყენებამ და მარტენის ღუმელების ბუნებრივი გაზით გახურებაზე გადაყვანამ უზრუნველყო ამ ქარხნის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მკვეთრად გაუმჯობესება. ამ ქარხანაში წარმატებით მიმდინარეობს მილსაგლინავი აგრეგატის „400“ კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის სამუშაოები.

დიდი ეფექტიურობით ხასიათდება საწარმოო სიმძლავრეთა ზრდა რესპუბლიკის ჩაის ფაბრიკებში. ჩაის 27 ფაბრიკაში საწარმოო პროცესების მექანიზაციის განხორციელებამ განაპირობა ჩაის მწვანე ფოთლის გადამუშავებაში ჩაის ფაბრიკების სიმძლავრის გაზრდა 30 ათასი ტონით, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. ამ ღონისძიებათა განხორციელება ტოლფასოვანია 12 მილიონ მანეთის ღირებულების 10 ჩაის ფაბრიკის მშენებლობისა მაშინ, როდესაც მათ განხორციელებაზე დაიხარჯა 2 მილიონი მანეთი საბანკო სესხის ხარჯზე. (აღნიშნული მონაცემები, ისე როგორც შემდგომ, მოცემულია ფასების ახალი მასშტაბით).

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ამ წელს საექსპლოატაციოდ გადაცემული მაღალი წნევის ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგური, რომელიც საბჭოთა კავშირში თაო�sა კაშხალის მქონე პირველი ელექტროსადგურია. 70 მეტრიანი სიმაღლის თაღოვანი კაშხალის აგებამ საშუალება მოგვცა შეგვემცირებია კლდის სამუშაოების მოცულობა 6-7-ჯერ და ბეტონის სამუშაოები 4-ჯერ, აქედან გამომდინარე დიდი ეკონომიური ეფექტით.

სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა გეგმის მოსალოდნელი შესრულება მიმდინარე წელს შეადგენს 239,7 მილიონ მანეთის, ანუ 38 მილიონი მანეთით მეტს, ვიდრე გასულ წელს.

ამოქმედდება სიმძლავრენი: ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში რამდენიმე ათასი ტონა ფოლადისა, მილსადიდვო საამქროს პირველი რიგი; ქიაოთურაში დარკვეთის, მღვიმევი-ხრამისა და ზედა რგანის მაღაროებში მანგანუმის მადნისა, დარკვეთის გამამდიდრებელ ფაბრიკაში კონცენტრატისა, კასპის ცემენტის ქარხანაში—150 ტონა ცემენტისა, გორის ბამბეულის კომბინატში—500 საქსოვი დაზგისა. ამოქმედებულია ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგური მთელი 112 ათასი კილოვატი სიმძლავრით და რუსთავის თბოელექტროცენტრალის აგრეგატი 25 ათასი კილოვატი სიმძლავრით.

სარწყავი მიწების ნამატი მიმდინარე წელს შეადგენს 8,7 ათასს ჰექტარს, ამოშრობილი მიწების — 2 ათას ჰექტარს, ხოლო გაწყლიერებული სახვნელებისა — 15 ათას ჰექტარს, ამოქმედებულ იქნება 2.125 კილოვატი სიმძლავრის სოფლის სარაიონო და სარაიონთაშორისო ჰიდროელექტროსადგურები და ელექტროფიცირებულ იქნება 100 კოლმეურნეობა.

გაიზრდება ადგილების რიცხვი სკოლებში 16 ათასი მოსწავლის ადგილით, საავადმყოფოებში 650 საავადმყოფო და სანატორიუმებში 155 საწოლით. სახელმწიფო საბინაო მშენებლობის ხაზით სექსპლოატაციოდ გადაეცემა 240 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. 1960 წლის 9 თვის განმავლობაში კოლმეურნეობების ინიციატივით და მათი სახსრებით აშენდა სკოლები 5.700 მოსწავლის ადგილით, საავადმყოფოები 90 საწოლზე, სბავშვო ბაღები 107 ბავშვის ადგილით და სბავშვო ბაღები 545 ბავშვის ადგილით.

გაუმჯობესდა მრეწველობის ხარისხოვანი ბრივი მაჩვენებლები. შრომის ნაყოფიერების ზრდისა და სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმური დავალება გადაჭარბებით სრულდება. გასულ წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება იზრდება 4,7 პროცენტით. წლის დასაწყისიდან ფაქტიურად გამოშვებული სასაქონლო პროდუქციის ერთ მანეთზე დანახარჯმა შეადგინა 92,8 კაპიკი, ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 93,8 კაპიკისა. წინასწარი მონაცემებით, საქართველოს სახალხო მეურნეობის სბჭომ, სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად მიიღო დაახლოებით 6 მილიონი მანეთის ზეგეგმითი ეკონომია.

მიმდინარე წელს შემდგომი განვითარება პოვა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ. ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ისტორიული ყრილობის გადაწყვეტილებებს და იბრძვიან რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ღირსეულად შესახვედრად, ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა პირნათლად შეასრულეს სახელმწიფოსათვის ჩაის ფოთლის მიყიდვის თავისი ვალდებულებანი. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 138 ტონისა, სახელმწიფოს მიეყიდა 156,8 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწაკლოვანებები, კერძოდ, მაღლია პროცენტი ცხვრის ზამთრის სამომთაბარო საძოვრებზე გაწყვეტისა, წამგებიანია მეცხოველეობის დარგები ბევრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობაში, მნიშვნელოვანი რაოდენობა კოლმეურნეობებისა ეკონომიურად ჯერ კიდევ სუსტნი არიან.

მიმდინარე წელს კოლმეურნეობებმა არ შეასრულეს მარცვლეულის მოსავლიანობის მათ მიერ მიღებული გეგმა, ვაზის გაშენების გეგმა კოლმეურნეობებმა შეასრულეს მხოლოდ 78 პროცენტით. არ შესრულებულა ყურძნის, შაქრის ჭარხლის, ეთერზეთოვანი კულტურების და ბოსტნეულის წარმოებისა და შესყიდვის გეგმა.

ჯერ კიდევ მრეწველობის საწარმოთა მნიშვნელოვანი რიცხვი არ ასრულებს გეგმურ დავალებებს. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გეგმა არ შეასრულა სახალხო მეურნეობის სბჭოს მრეწველობის საწარმოთა 10,2 პროცენტმა, მეოთხე კვარტალში — 12,6 პროცენტმა და მესამე კვარტალში — 22,1 პროცენტმა. განსაკუთრებით დიდია საწარმოთა რაოდენობა, რომლებიც ჯერ ასრულებენ გეგმებს სახალხო მეურნეობის სბჭოს ელექტროტექნიკურ და ხელსაწყოთმშენებლობის, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის, ხეტყისა და ქაღალდის გადამამუშავებელი მრეწველობის სამმართველოების წარმოებათა შორის. არადროულად სრულდება დავალებანი მრეწველობის პროდუქციის ახალ სახეობათა წარმოების ასათვისებლად.

რესპუბლიკის მეურნეობა განიცდიდა ზოგიერთ სიძნელეს ნედლეულის, მასალებისა და მოწყობილობის ცალკეულ სახეობათა მიღების საქმეში, კერძოდ, ფერადი ლითონების, შავი ლითონის რიგი პროფილების, ქიმიკატებისა და რეზინატექნიკური ნაწარმისას. ამავე დროს უნდა ვაღიაროთ, რომ ჯერ კიდევ არ წარმოებს სათანადო ბრძოლა მატერიალური რესურსების მომჭირნეობითა და ეკონომიით ხარჯვისათვის, ხოლო მასალათა ხარჯვის ნორმირების საქმე დაყენებულია არადამაკმაყოფილებლად. კერძოდ, ცემენტის ძლიერ დიდი გადახარჯვაა დაშვებული ტრესტ „მეტალურგშენისა“ და „მთავარობილშენის“ მიერ, რაზედაც უნდა მიექცეს მათი ყურადღება.

საგეგმო კომისია, სახალხო მეურნეობის სბჭო და მისი დარგობრივი სამმართველოები, სამინისტროები და უწყებები დეტალურად უნდა გაერკვნენ გეგმების შეუსრულებლობის მიზეზებში, ცალკეული საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, სბჭოთა მეურნეობათა დაბალ ეკონომიურ მაჩვენებლებში და შიიღონ ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათი საქმიანობის გაუმჯობესებას.

პარტია და მთავრობა უდიდეს მზრუნველობას იჩენს მშრომელთა კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. საქართველოს სსრ დამთავრდა მეურნეობის ყველა დარგის მუშა-მოსამსახურეთა გადაყვანა შემცირებულ სამუშაო დღეზე. ამავე დროს განხორციელდა ხელფასის მოსაწესრიგებელი სამუშაოები, რის შედეგად იგი მნიშვნელოვნად იზრდება, განსაკუთრებით დაბალხელფასიანი მუშა-მოსამსახურეებისა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ თვიდან ბნის წინ გამართულმა პლენუმმა სპეციალურად განიხილა საკითხი სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, მისი ასორტიმენტის გაფართოების და ხარისხის გაუმჯობესების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა განვითარების შესახებ და დასახა ღონისძიებანი ამ სამუშაოს გასაუმჯობესებლად. რესპუბლიკაში გაიზარდა სასურსათო და სამრეწველო საქონლის მოხმარება. მოსალოდნელია საცალო საქონელბრუნვის გეგმის გადაჭარბება 1,5 პროცენტით, რაც გასული წლის დონეს აღემატება 8,6 პროცენტით.

1961 წლის გეგმის ძირითადი ამოცანები

სახალხო მეურნეობის ძირითადი ამოცანებისა და მთავარი მიმართულების შესაბამისად 1961 წლის — შვიდწლედის მესამე წლის გეგმა ითვალისწინებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის და კულტურის განვითარებას. გეგმის პროექტი სახავს:

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, და ამის ბაზაზე, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდას;

საწარმოო სიმძლავრეთა ზრდას, როგორც ახალ მშენებლობათა ხარჯზე, ასევე მოქმედ საწარმოებში მექანიზაციის, წარმოების ინტენსიფიკაციის, ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების, ახალი მოწყობილობების და დანადგარების დანერგვის და სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა ხარჯზე.

შავ მეტალურგიასა და ქიმიურ მრეწველობაში მსხვილ კაპიტალ-დაბანდებათა განხორციელებას და საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედებას, მძლავრი სამშენებლო ინდუსტრიის შექმნას და განვითარებას, მშენებლობის დაჩქარებასა და გაიაფებას, საწარმოთა, პირველ რიგში მანქანათმშენებლობის და ლითონდამუშავებელ, აგრეთვე მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის დარგებში — კოოპერირებისა და სპეციალიზაციის გაძლიერებას;

შრომის ნაყოფიერების ზრდის საშუალებით მრეწველობის საწარმოთა, სოფლის მეურნეობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის ძირითადი ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, მასალათა ხარჯვის ნორმების შემცირებას, სამეურნეო ანგარიშიანობის ყოველმხრივ გაძლიერებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და რენტაბელობის უზრუნველყოფას.

სახალხო მოთხოვნილების საქონლის გამოშვების გაფართოებას, წარმოებული პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას;

საქონელბრუნვის მოცულობის მნიშვნელოვნად გაფართოებას და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, მუშათა, მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა რეალური შემოსავლის გადიდებას, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გაფართოებას.

ელექტროძრავების წარმოება დასაყურსი ტუმბოებისათვის, ამწე ელექტროძრავების ელექტროშესადუღებელი მოწყობილობის, დასაყენებელი ავტომატების, მაგნიტური სადგურებისა და საკაბელო ნაწარმის წარმოება.

მკვეთრად გაიზრდება კვების მრეწველობის, აგრეთვე ვაჭრობისა და საზოგადო კვების საწარმოთა ტექნოლოგიური მოწყობილობის წარმოება.

მომავალ წელს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის (1960 წლის) პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, რესპუბლიკის მანქანათსამშენებლო საწარმოები გამოუშვებენ მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მქონე 48 ახალი სახეობის მანქანების, მექანიზმებისა და ხელსაწყოების პირველ საწარმო სერიას. ამის გარდა, დამზადებულ იქნება ახალი მანქანების, მექანიზმების, მოწყობილობისა და ხელსაწყოების 78 ნიმუში. ამასთან ერთად წარმოებად მოიხსნება 15 დასახელების მძიმე ელექტრული კონსტრუქციის მანქანები და მოწყობილობა.

გეგმა ითვალისწინებს დავალებებს საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის საქმეში. თბილისის სახეხი ჩარხების ქარხანაში მექანიკური დამუშავების ხაზზე ინერგება დამატებითი მექანიზირებული ნაკადური ხაზი; სახალხო მეურნეობის სბჭოს ელექტროტექნიკურ და ხელსაწყოთმშენებლობის მრეწველობაში ინერგება ნაკადური ხაზები; ქარხანაში „ზორაპანის ელემენტი“ დენის გალვანური წყაროს საამქრო ავტომატიზებულ იქნება; ხუთ ქარხანაში გათვალისწინებულია ელექტროღუმელებისა და ვაკუუმღუმელების ავტომატიზაცია, ორ ქარხანაში დანერგილ იქნება ნაწარმის შეღებვა ელექტროსტატიკური ველის საშუალებით და სხვა.

1961 წელს სახალხო მეურნეობის სბჭოს მანქანათსამშენებლო საწარმოების ტექნიკური დონის ასამაღლებად გათვალისწინებულია შეიცვალოს სახალხო მეურნეობის სბჭოს მიერ მიღებული უნივერსალური და სპეციალური ლითონდასამუშავებელი ჩარხების მოძველებული და გაცვეთილი ლითონდასამუშავებელი მოწყობილობის მნიშვნელოვანი ნაწილი, ერთდროულად, ამავე საწარმოებში უნდა ჩატარდეს სერიოზული მუშაობა არსებული მოწყობილობის ნაყოფიერების ასამაღლებლად მათი სრულყოფისა და მოდერნიზაციის ხარჯზე.

გათვალისწინებულია სამენ მასალათა, ხე-ტყის, ქაღალდისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის შემდგომი განვითარება.

ცემენტის წარმოება შეადგენს 1.270 ათას ტონას მისი საშუალო მარკის 397-დან 402-მდე გაზრდით. ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების და დეტალების გამოშვება გაიზრდება 49,8 პროცენტით, კედლის მასალის წარმოება — 23,1 პროცენტით. კედლის მასალის საერთო მოცულობაში ბეტონის და სილიკატური მსხვილი ბლოკებისა და უჯრედოვანი ბეტონის ბლოკების გამოშვება გაიზრდება ორჯერ და მეტად. იზრდება სახურავი მასალის სამშენებლო ფაიანსის და ინერტული მასალების წარმოება.

მთლიანად რესპუბლიკაში მერქანის გამოზიდვა დაგეგმილია დაახლოებით მიმდინარე წლის დონეზე ექსპლოატაციისათვის ათვისებული ტყესაყფი ფონდის შესაბამისად. ამასთან, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს მითითებიდან გამომდინარე, 1961 წლის გეგმაში გათვალისწინებულია ხე-ტყის დამამზადებელი ორგანიზაციების რიცხვის შემდგომი შემცირება, რასთანაც დაკავშირებით სახალხო მეურნეობის სბჭოს მიერ ხე-ტყის გამოზიდვა გაიზრდება 4,4 პროცენტით. ეს საგრძნობლად გაუმჯობესებს ხე-ტყის დასამზადებელ სამუშაოებს, უზრუნველყოფს ტყის მასივის სწორ ექსპლოატაციას.

გეგმა ითვალისწინებს სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების შემდგომ გადიდებას. შალის ქსოვილების გამოშვება გადიდდება 4,5 პროცენტით. მაღალხარისხოვანი ბრეზენტის ქსოვილების გამოშვების უზრუნველსაყოფად დაპროექტებულია გამოსამუშავებელი აბრეშუმის ხამი ძაფის ნორმის გადიდება, გათვალისწინებულია ჩვენი ნაწარმი ძთელი აბრეშუმის ხამი ძაფის გადამუშავება რესპუბლიკის საწარმოებში საეკონომიო ორგანიზაციებთან შეთანხმებული ასორტიმენტით.

ბამბეულის ხამი ქსოვილების წარმოება დაგეგმილია გორის ბამბეულის კომბინატის სპეციალიზაციის პროფილის სრული შესაბამისობით. მზა ბამბეულის ქსოვილების გამოშვების რამდენადმე შემცირება გამოწვეულია გორის ბამბეულის კომბინატისათვის სხვა ეკონომიური რაიონებიდან შესაღებად და გამოსაყენებად ხამი ქსოვილების მიწოდების გეგმის შემცირებით. საკუთარი ხამი ქსოვილების წარმოების გეგმა სახალხო მეურნეობის სბჭოს საწარმოებში მთლიანად იზრდება 9 პროცენტით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 სექტემბრის დადგენილების თანახმად ჩვენ შემდგომაც მოგვიხდება მუშაობა ყოფილი სარეწო კოოპერაციის სისტემის და ადგილობრივი საბჭოებიდან სახალხო მეურნეობის სბჭოს განგმგებლობაში გადმოსული საწარმოების სპეციალიზაციისა და გამსხვილებისათვის. სახალხო მეურნეობის სბჭოს გამგებლობაში გადმოცემული საფეიქრო, ტრიკოტაჟისა და სამკერვალო საწარმოთა გამსხვილებისა და სპეციალიზაციის დამთავრება საშუალებას მოგვცემს 1961 წელს უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნილება სახალხო მოხმარების ხარისხოვან საქონელზე.

მსუბუქ და საფეიქრო მრეწველობაში გათვალისწინებულია ახალი ტექნიკის 20-ზე მეტი ღონისძიების დანერგვა და მრეწველობის ამ დარგებში სამეცნიერო-საკვლევო სამუშაოთა ფართოდ გაშლა. დადგმულ იქნება მაღალი წარმადობის საჩეჩი, სართავი, საგრეხი და ავტომატური საქსოვი დაზგები. გორის ბამბეულის კომბინატში ეწყობა ღებვისა და გამოყენების ტექნოლოგიური რეჟიმის კონტროლისა და რეგულირების ავტომატიზაცია. თბილისის მაუდაგამკოლის კომბინატში და თბილისის ბამბის ფაბრიკაში გათვალისწინებულია ახალი სახეობის არაქსოვილური მასალების ათვისება. სახალხო მეურნეობის სბჭოს სამკერვალო საწარმოებში დაინერგება ტანსაცმლის ცალკეული დეტალების წებვის ხერხით შეკავშირება.

კვების მრეწველობაში საერთო პროდუქციის 3,6 პროცენტით გადიდებას განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო და საკვები ნედლეულის სხვადასხვა სახეობათა რესურსები.

ნატურალური ხარისხოვანი ჩაის წარმოება გაიზრდება 15,7 პროცენტით, კონსერვების წარმოება — 13,7 პროცენტი. იზრდება მოუხდელი რძის პროდუქციის, ყველის, მინერალური წყლების, ლუდის, შაქრის ფხვნილის, უალკოჰოლო სასმელებისა და კვების სხვა პროდუქტების გამოშვება.

რესპუბლიკის კვების მრეწველობის საწარმოებში 1961 წელს დაინერგება მექანიზაციის, ავტომატიზაციისა და მოწინავე ტექნოლოგიის 70-ზე მეტი ღონისძიება, კერძოდ: ჩაის მრეწველობაში საოლერო საამქროებში შრომატევადი სამუშაოების კომპლექსური მექანიზაცია, შავი ბაიხაო ჩაის გამოყენისა და შრობის დროს თბოპროცესების კონტროლისა და რეგულირების ავტომატიზაცია, შავი ბაიხაო ჩაის წარმოების ახალი ტექნოლოგიის დანერგვა ნახევარფაბრიკატის თერმული დამუშავების წესით და სხვა.

წარმოდგენილი გეგმის პროექტში გათვალისწინებული არ არის ღვინის მასალათა წარმოების გეგმის მოსალოდნელი შეუსრულებლობა 1960 წლის IV კვარტალში და აღნიშნულის შედეგად ყურძნის ღვინის წარმოების შემცირება, როგორც ცნობილია, მიმდინარე წელს, სეტყვიანობისა და მოუსავლიანობის შედეგად, გეგმით გათვალისწინებული 163 ათასი ტონა ყურძნისა, შესყიდულია მხოლოდ 93 ათასი ტონა ყურძენი. ამასთან დაკავშირებით მცირდება მეღვინეობის მრეწველობის პროდუქციის გამოშვება.

სახალხო მეურნეობის გეგმის განხილვის დროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დასვა საკითხი საკავშირო მინისტრთა საბჭოს წინაშე სახალხო სამეურნეო გეგმის როგორც საგეგმო ეკონომიური, ასევე ფინანსური მაჩვენებლებისა და საქართველოს სსრ 1961 წლის ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებების შესახებ. ეს საკითხები განხილულ და გადაჭრილ იქნება, რის შემდეგ სახალხო-სამეურნეო გეგმაში შეტანილ იქნება ცვლილებები. მაგრამ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, სახალხო მეურნეობის საბჭომ, აგდგილობრივი საბჭოების საწარმოებმა რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა გამონახონ საჭირო რეზერვები სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის, რომ არ დაუშვან საერთო პროდუქციის მნიშვნელოვანი შემცირება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესასრულებლად გეგმაში გათვალისწინებულია ყოფა-ცხოვრებაში საჭირო ნაწარმის გამოშვების მნიშვნელოვნად გადიდება. მომავალ წელს კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და სამეურნეო მოხმარების საქონლის წარმოება დაგეგმილია 68 მილიონი მანეთის მოცულობით, ანუ ზრდა შეადგენს 23 პროცენტს. რესპუბლიკის საწარმოები გამოუშვებენ 20 მილიონი მანეთის ავეჯს, 15 ათას ცალ სარეცხ მანქანას, 13 ათას ელექტრომტვერსასრუტს, 20 ათას ელექტროვენტილიატორს, 87

(დასასრული მე-3 გვერდზე)

მრეწველობის განვითარება

1961 წელს, მიმდინარე წელთან შედარებით, რესპუბლიკაში სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის საერთო მოცულობა გაიზრდება 5,3 პროცენტით, მათ შორის წარმოების საშუალებათა წარმოება (ჯგუფი „ა“) 7,4 პროცენტით. მრეწველობის ცალკეულ დარგებში გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები:

შავ მეტალურგიაში — მანგანუმის შენადნობთა წარმოების გადიდება 1,3 პროცენტით, თუჯისა — 3,3 პროცენტით, ფოლადისა — 2,8 პროცენტით, ნაგლინისა — 3,9 პროცენტით, მილებისა— 8 პროცენტით. აღნიშნული ზრდა მიღწეული იქნება ამიერკავკასიის მეტალურგიულ და ზესტაფონის ფეროშენადნობების ქარხნებში არსებულ სიმძლავრეთა უკეთ გამოყენების ხარჯზე, აგრეთვე ერთი ბრძმედისა და ერთი მარტენის ღუმელის რეკონსტრუქციის ხარჯზე.

გეგმის პროექტით გათვალისწინებულია ამერიკავკასიის მეტალურგიული ქარხნის აგლომაბრიკაში ტექნოლოგიური პროცესების და ზესტაფონის ფეროშენადნობების ქარხანაში ელექტროღუმელის რეგულირების ავტომატიზაცია.

მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის დარგში გათვალისწინებულია ბრძმედის მუშაობის ათვისება საკერეს გაზის მაღალი წნევის რეჟიმზე და შემდგომი სამუშაოები მანგანუმის IV ხარისხის მადნის გასამდიდრებლად ელექტრომაგნიტური სეპარატორების გამოყენებით.

ქიმიური მრეწველობის პროდუქციის საერთო მოცულობის გადიდება დაპროექტებულია 9,2 პროცენტით, მინერალური სასუქების წარმოება გაიზრდება 14,6 პროცენტით, ნატურალური კოფეინისა — 60 პროცენტით, გათვალისწინებულია ამიაკის გვარჯილას საამქროს და რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის სუსტი აზოტმჟავას საამქროს საწარმოო პროცესების მექანიზაციის სამუშაოთა ნაწილობრივ დამთავრება.

1961 წელს კოქსის წარმოება და ქვანახშირის მოპოვება დაგეგმილია მიმდინარე წლის დონეზე დაბლა, რადგანაც პროცესების და ზესტაფონის ფეროშენადნობების ქარხანაში ელექტროღუმელის რეგულირების ავტომატიზაცია.

ელექტროენერგიის გამომუშავების ზრდა 8,4 პროცენტით განპირობებულია ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგურის ამოქმედებით და მოქ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1961 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია. სურათზე: დეპუტატები სხდომათა დარბაზში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

(დასასრული)

ათას ელექტროენთოს, 250 ათას ლითონის საწოლს და ა. შ. პიანინოებისა და როიალების გამოშვება გაიზრდება 20 პროცენტით, საბავშვო სათამაშოებისა — 12,3 პროცენტით, იზრდება ქიმიის საყოფაცხოვრებო საქონლის წარმოება. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ზრდა გათვალისწინებულია 35 პროცენტით.

სოფლის მეურნეობის განვითარება

1961 წელს, შვიდწლედის მესამე წელს, გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის შემდგომი ზრდა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების გადიდება.

მომავალ წელს დაგეგმილია დამზადდეს 144 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, 150 ათასი ტონა ყურძენი, 85 ათასი ტონა თესლოვანი და კურკოვანი ხილი. იზრდება ციტრუსოვანთა და ეთერზეთოვანი ნედლეულის დამზადება.

შაქრის ჭარხლისა და თამბაქოს წარმოება და დამზადება 1961 წელს გათვალისწინებულია მიმდინარე წლის გეგმის დონეზე. მნიშვნელოვნად იზრდება მარცვლეულის წარმოების მოცულობა მიმდინარე წლის ფაქტიური მოსავლის აღებასთან შედარებით, უმთავრესად სიმინდის ხარჯზე.

მარცვლის მოსავლიანობის ამაღლებაში, სხვა ღონისძიებებთან ერთად მნიშვნელოვან როლს თამაშობს მარცვლეული კულტურების სწორად დაყენებული მეთესლეობა. თუმცა რესპუბლიკაში უკანასკნელი წლების განმავლობაში გაფართოდა ხარისხოვანი ნათესები და ორგანიზებულია სიმინდის ჰიბრიდული ხარისხოვანი თესლის წარმოება, მაგრამ რესპუბლიკის რიგ რაიონებში მარცვლოვანი კულტურებისა და ბალახის მეთესლეობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

მთავრობის დადგენილებით ახლა ელიტური თესლის მოყვანის საქმე დაკისრებული აქვს სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებებს და უშუალოდ ისინი აძლევენ თესლს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ წესის განხორციელება მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს მეთესლეობას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და ამით ნათესები უზრუნველყოფილი იქნება მაღალხარისხოვანი რჩეული თესლით.

1961 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გათვალისწინებულია მრავალწლიანი ნარგავების გაშენება 16,1 ათას ჰექტარზე, მათ შორის ჩაის — 2,0 ათას ჰექტარზე, ხილის ბაღების — 5,2 ათას ჰექტარზე, ციტრუსების — 0,5 ათას ჰექტარზე, ვაზისა — 6,6 ათას ჰექტარზე და სხვა.

1961 წლის გეგმის პროექტი ითვალისწინებს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომ გადიდებას პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის ზრდის საფუძველზე.

გათვალისწინებულია, რომ 1961 წლის ბოლოსათვის რესპუბლიკაში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა აყვანილ იქნება 1.517 ათას სულამდე, მათ შორის ძროხის 608 ათას სულამდე, შედარებით მომავალი წლის დასაწყისისათვის მოსალოდნელი სულადობის —1.507 ათასი სულისა და მათ შორის ძროხის 583 ათას სულისა. საშუალო წლიური ნაწველი ერთ ძროხაზე გათვალისწინებულია აყვანილ იქნას კოლმეურნეობებსა და სახელმწიფო მეურნეობებში 1,503 კილოგრამამდე, ანუ 1960 წლის დონესთან შედარებით გადიდდება 11 პროცენტით.

გათვალისწინებულია ღონისძიებები მეცხვარეობის შემდგომი განვითარებისა, მანქანათმშენებლობის, სამშენებლო მასალების მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის ობიექტების მშენებლობაზე.

1961 წლის კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა ითვალისწინებს: შემდეგი უმთავრესი ღონისძიებების გატარებას:

შავი მეტალურგიის დარგების განვითარებაზე დაიხარჯება 28,2 მილიონი მანეთი, ნაცვლად მიმდინარე წელს გათვალისწინებული 23,6 მილიონი მანეთისა. 1961 წელს გათვალისწინებულია მღვიმევი-ხრამის მაღაროს № 29 გამამდიდრებელი ფაბრიკის, დარკვეთის გამამდიდრებელი ფაბრიკისა და ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის მშენებლობის დამთავრება. ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის ამოქმედებას დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს, რადგან მეოთხე ხარისხის მანგანუმის მადნის გადამუშავების ხარჯზე გაიზრდება მაღალი ხარისხის მადნის გამოშვება. გრძელდება მაღარო მერევის მშენებლობა და დაიწყება მაღარო ახალი ითხვისის კარბონატული მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობა.

ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში თანხები დაბანდებულ იქნება 900/750 დგანის სარეკონსტრუქციოდ, ამანოს დოლომიტების საკარიერო მეურნეობის გარდამავალ და წითელ-წყაროს საფლესე კირქვების კარიერის მშენებლობაზე. ზესტაფონის ფეროშენადნობების ქარხანაში გაგრძელდება ქარხნის გაფართოებისა და რეკონსტრუქციის სამუშაოები, განხორციელდება ალამეთის კირქვების კარიერის მექანიზაცია.

ფერად მეტალურგიაში გაიზლება მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობა.

დაბანდებანი ქიმიურ მრეწველობაში 1961 წელს მიმდინარე წელთან შედარებით თითქმის გაორკეცდება და ძირითადად მიმართული იქნება რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის გაფართოებაზე, კაპროლაქტამის საამქროს მშენებლობის პირველი რიგის დამთავრებაზე და სინთეტური ბოჭკოს ქარხნის მშენებლობაზე.

ელექტროსადგურებისა და ელექტროქსელის ხაზით გრძელდება ხრამის ჰიდროელექტროსადგური და თბილისის ელექტროთბოსადგურის მშენებლობა, ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის თბოელექტროცენტრალის გაფართოება, გადამცემი ხაზების შემდგომი განვითარება. დადებითად წყდება საკითხი ძლავრი ინგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ, რასთანაც დაკავშირებით აუფა თანხები ამ საადგურის მშენებლობის მოსამზადებელ სამუშაოებზე.

ქვანახშირის მრეწველობაში ტყიბულში ხორციელდება შახტის „აღმოსავლეთის 2“ და სტალინის სახელობის № 2 შახტის მშენებლობა, აგრეთვე ორკონგიძის სახელობის შახტის გასაღრმავებელი სამუშაოები. ტყვარჩელში გრძელდება № 8 შახტის მშენებლობა.

ნავთობის მრეწველობისათვის განკუთვნილი კაპიტალური დაბანდებანი ითვალისწინებენ ნავთობისა და გაზის სამრეწველო მარაგის გამოსავლინებელი დაზვერვითი ბურღვის სამუშაოების გაგრძელებას.

1961 წელს მანქანათსამშენებლო საწარმოების მშენებლობასა და რეკონსტრუქციაზე დაბანდებულ იქნება 14,53 მილიონი მანეთი, რაც ძირითადად მოხმარდება ელექტროტექნიკური საწარმოების გაფართოებას, მათი წარმოების ორგანიზაციის მუდმივ სქემაზე გადაყვანის მიზნით და ფოლადისა და თუჯის სხმულის სიმძლავრეთა შემდგომ მატებას.

კაპიტალური დაბანდებანი **სამშენებლო მასალების მრეწველობასა და სამრეწველო ინდუსტრიაში** მიმდინარე წელთან შედარებით გაიზრდება 34,6 პროცენტით. გეგმით გათვალისწინებულია ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების, მინერალური ბამბისა და მისი ნაწარმის, ბინათსამშენებლო კომბინატების საწარმოთა მშენებლობა და ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედება. ამის გარდა. მნიშვნელოვანი სახსრები იქნება გაღებული სამშენებლო მექანიზმების შესაძენად.

დაბანდებანი **მსუბუქ მრეწველობაში** ძირითადად კონცენტრირებულ იქნება გორის ბამბეულის კომბინატის მეორე რიგის საქსოვი და სართავი ფაბრიკების მშენებლობის გაგრძელებაზე, ქალაქ თბილისის აბრეშუმსაქსოვი და კამკოლის სართავ-საქსოვი, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის ტრიკოტაჟის ახალი ფაბრიკების მშენებლობაზე და ხალიჩებსაქსოვი კომბინატის გაფართოებაზე ცხაკაიაში. ამოქმედდება ახალი სიმძლავრენი 54 ათასი სართავი თითისტარის და 1048 საქსოვი დაზგის რაოდენობით, ხოლო ტრიკოტაჟის მრეწველობაში შეავა სიმძლავრენი 4 მილიონი ცალი თეთრეულის გამოშვებისა წელიწადში.

კაპიტალური დაბანდებანი **კვების მრეწველობაში** ძირითადად მოხმარდება ჩაის, კონსერვების, პარფიუმერიის, თამბაქოს, მინერალური წყლებისა და რძის მრეწველობას. კვების მრეწველობაში გათვალისწინებულია ამოქმედდეს ძირითადი ფონდები 10 მილიონ მანეთზე მეტი.

კაპიტალური დაბანდებანი **სოფლის მეურნეობაში** ითვალისწინებს წყალთასამეურნეო ღონისძიებებს, სამეცნიერო-საკვლევო და სასწავლო ინსტიტუტების მომსახურების სამუშაოთა მოცულობა. სახელმწიფო დაბანდებათა მოცულობა 1961 წელს გაიზრდება 27,6 პროცენტით 1960 წლის პირველად გეგმასთან შედარებით. საექსპლოატაციოდ გადაეცემა 9 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლები, სკოლები 1180 მოსწავლის ადგილით, გაგრძელდება სასტუმროს მშენებლობა ქ. სოხუმში, ამოქმედდება სოხუმისა და ბუდაფეშის წყალსადენის დამატებითი სიმძლავრენი, მომატებს გაზიფიცირებული ბინების რაოდენობა. მოსწავლეთა რაოდენობა საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი სკოლებში 1961 წელს მიაღწევს 47,7 ათას კაცამდე, გაიზრდება ადგილების რაოდენობა საბავშვო ბაღებსა და საბავშვო ბაღებში. გადიდდება მასობრივი ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებებისა და კინოდანადგარების რიცხვი.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში გათვალისწინებულია მრეწველობის საწარმოთა პროდუქციის და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამუშაოთა მოცულობის გადიდება. კაპიტალური დაბანდებანი 1961 წელს იზრდება 79,9 პროცენტით 1960 წლის პირველად გეგმასთან შედარებით 3,65 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართის, 440 მოსწავლის ადგილიანი სკოლის და სტალინირის წყალსადენის სიმძლავრის მატების გათვალისწინებით. წლის ბოლოსათვის სტალინირში გაზიფიცირებული იქნება 800 ბინა.

ქალაქ თბილისში სამრეწველო პროდუქციის წარმოება მიმდინარე წლის დონესთან შედარებით, გათვალისწინებულია გადიდდეს 10,2 პროცენტით. მნიშვნელოვნად დიდდება ქიმიური მრეწველობის, ლითონის ნაწარმის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და სამეურნეო მოხმარების საქონლის წარმოება. სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა განსაზღვრულია 35,95 მილიონი მანეთით — 132,4 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის და სკოლების 4 440 მოსწავლის ადგილით საექსპლოატაციოდ გადაეცემით. ხორციელდება თბილისის წყლით მომარაგების ღონისძიებები და დაიწყება კიდევ ერთი ახალი სასტუმროს მშენებლობა.

ქალაქ ჭუთაისში სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა იზრდება 1960 წლის პირველად გეგმასთან შედარებით 28,6 პროცენტით. ექსპლოატაციაში გადაეცემა 5,6 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, სკოლა 440 მოსწავლის ადგილით. დაიწყება წყალსადენის მშენებლობა. გათვალისწინებულია ღონისძიებები ქალაქის კომუნალური მომსახურებისა და კეთილმოწყობის გასაუმჯობესებლად.

იზრდება კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა ქ. ფოთში 5,9-ჯერ, რუსთავში — 4,8-ჯერ, ჭიათურაში — 43,5 პროცენტით და გორში — 43 პროცენტით მიმდინარე წლის პირველად გეგმასთან შედარებით.

რესპუბლიკის ბევრ სხვა ქალაქებსა და რაიონებში დაპროექტებულია მრეწველობის საწარმოთა და კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის ზრდა, საცხოვრებელი ფართობის და აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების ობიექტების სიმძლავრეთა მატების გათვალისწინებით. გრძელდება სამუშაოები ზუგდიდის, ხაშურის, სამტრედიის, გურჯაანის, ასპინძის, ახალციხის, ქარელის, ლანჩხუთის, თეთრიწყაროს წყალსადენის მშენებლობისა, დაიწყება წყალსადენის მშენებლობა ფოთსა და თელავში. გათვალისწინებულია ღონისძიებები რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონის ცენტრების კეთილმოსაწყობად.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარება

გეგმის პროექტით დასახულია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის შემდგომი განვითარება, კერძოდ ავტომობილებით ტვირთზიდვის მნიშვნელოვანი ზრდა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად, გასული წლის ბოლოს რესპუბლიკის სატვირთო ტრანსპორტის ძირითადი რაოდენობის საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტის ტვირთზიდვის მოცულობა გაიზარდა 80 პროცენტამდე, წინაადმდეგ 1959 წლის 32 პროცენტისა. ამან განაპირობა საავტომობილო პარკის გამოყენების ეფექტიანობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. სატვირთო ავტომობილების გამოყენების კოეფიციენტი გაიზარდა 0,66-მდე, საშუალო ნაყოფიერება ტვირთამუშობის ერთ ტონაზე გაიზარდა 19 პროცენტით, ხოლო ტონა-კილომეტრის გადაზიდვის ღირებულება შემცირდა 7,5 პროცენტით.

უმრავლეს შემთხვევაში მშენებლობათა, საწარმოებისა და ორგანიზაციების მომსახურება ავტოტრანსპორტით გაუმჯობესდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ ჯერ კიდევ გადაუჭრელ საკითხებს, რომლებიც დროთა განმავლობაში მოგვარდება. მაგრამ ერთი კი უდავოა, რომ ტრანსპორტის მუშაობის საერთო ეკონომიური მაჩვენებელი მთლიანად რესპუბლიკაში სატვირთო ტრანსპორტის გაერთიანების შემდეგ გაუმჯობესდა.

მაგრამ ამასთან ერთად აღიარებილია საგეგმო კომისიამ სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა გააძლიერონ კონტროლი ავტოტრანსპორტით სარგებლობაზე, შეიმუშაონ ნორმები და უფრო მკაცრად დაეგვონ ავტოსატრანსპორტო ტვირთზიდვა ტონა-კილომეტრებში. ეს საშუალებას მოგვცემს უზრუნველყოთ ავტოტრანსპორტით სარგებლობის ეფექტიურობის შემდგომი ამაღლება.

1961 წელს საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტის ტვირთბრუნვა დაგეგმილია 740 მილიონი ტონა-კილომეტრის ოდენობით, ნაცვლად მოსალოდნელი შესრულებისა — 622,5 მილიონი ტონა-კილომეტრისა. მგზავრების გადაყვანა ავტობუსებით 205,8 მილიონ მგზავრიდან გაიზრდება 223 მილიონ მგზავრამდე, მსუბუქი ავტომობილებით — ტაქსებით სარგებლობის ფასიანი კილომეტრების მოცულობა 88 მილიონ კილომეტრიდან გაიზრდება 124 მილიონ კილომეტრამდე. მოსახლეობის მომსახურებისათვის, გაქირავებით განკუთვნილი მსუბუქი ავტომანქანების რაოდენობა რესპუბლიკის მსხვილ ქალაქებში აყვანილ იქნება 260 ერთეულამდე, ნაცვლად მიმდინარე წელს განკუთვნილი 100 ერთეულისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა როგორც საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური, ასევე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების შეკეთებისა და შენახვის საქმე. მომავალ წელს გათვალისწინებულია ასიგნებანი საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზების შესაკეთებლად და შესანახად 17,6 მილიონი მანეთის მოცულობით. გათვალისწინებულია გზიფი-რიწის ტბის საავტომობილო გზის კაპიტალური შეკეთების დაწყება. გაგრძელდება სამეშოკის საქართველოს სამხედრო, გორი-სტალინირი-კვაისი-ონის, ხაშური-სურამის, ბათუმი-გოდერძის უღელტეხილის, ახალციხე-ახალქალაქის საავტომობილო გზების ტექნიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

სამაგრო ტრანსპორტის ტვირთზიდვის მოცულობა 1960 წელთან შედარებით იზრდება 29 პროცენტით.

მნიშვნელოვნად გადიდდება კავშირგაბმულობის სამუშაოთა პროდუქციის მოცულობა. ავტომატური ტელეფონების საფგურების სიმძლავრეთა ნამატი შეადგენს 11 ათას ნომერს. ამოქმედდება ავტომატური ტელეფონის სადგურები თბილისში, ქუთაისში, სამტრედიაში, ცხინვალსა და გალში.

1961 წელს დაიწყება თბილისი-ქუთაისის რადიორელეური ხაზის სამშენებლო სამუშაოები, რომელიც შემდგომ განვითარდება სოხუმსა და ბათუმამდე იმ გაანგარიშებით, რომ რეგულარული ტელევიზიცმა ქუთაისისათვის დაიწყება 1961-62 წლებში, ხოლო სოხუმსა და ბათუმისათვის 1962-1963 წლებში. გაგრძელდება სამუშაოები აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში სარეტრანსლიაციო დანადგარების ასაგებად, რაც განაპირობებს მეტი მოსახლეობის უზრუნველყოფას ტელევიზიით.

კაპიტალური მშენებლობა

სახელმწიფო კაპიტალური მშენებლობის საერთო მოცულობა 1961 წელს განსაზღვრულია 277,7 მილიონი მანეთის მოცულობით, ანუ მიმდინარე წლის დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით ზრდა შეადგენს 15,9 პროცენტს. ეს 47 მილიონი მანეთით აღემატება შვიდწლიანი გეგმით დასახულ საკონტროლო ციფრებს. გარდა ამისა, წინა წლების მაგალითისამებრ, მნიშვნელოვანი თანხები იქნება გაღებული კაპიტალურ მშენებლობაზე დაფინანსების არაცენტრალური წყაროებიდან.

ჩვენი რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაციის შემდგომ უზრუნველსაყოფად და მრეწველობის საწარმოთა ზრდის ფონზე მაღალი ტემპების ხელშეწყობად დაბანდებათა 54 პროცენტზე მეტი გამოყენებულ იქნება საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობაზე, ძირითადად შავი მეტალურგიის, ქიმიური მრეწველობის, მომსახურების სამუშაოთა მოცულობა. სახელმწიფო დაბანდებათა მოცულობა 1961 წელს გაიზრდება 27,6 პროცენტით 1960 წლის პირველად გეგმასთან შედარებით. საექსპლოატაციოდ გადაეცემა 9 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლები, სკოლები 1180 მოსწავლის ადგილით, გაგრძელდება სასტუმროს მშენებლობა ქ. სოხუმში, ამოქმედდება სოხუმისა და ბუდაფეშის წყალსადენის დამატებითი სიმძლავრენი, მომატებს გაზიფიცირებული ბინების რაოდენობა. მოსწავლეთა რაოდენობა აყვანილი იქნება 72,7 ათას კაცამდე, გაიზრდება ადგილების რაოდენობა საბავშვო ბაღებსა და საბავშვო ბაღებში, გადიდდება ყველა ტიპის მასობრივი ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებებისა და კინოდანადგარების რიცხვი.

აჭარის ასსრ დაპროექტებულია საერთო პროდუქციის და აგრეთვე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამუშაოთა მოცულობის შემდგომი ზრდა. სახელმწიფო კაპიტალდაბანდებანი განსაზღვრულია 2,59 მილიონი მანეთის რაოდენობით. საექსპლოატაციოდ გადაეცემა 7,9 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლები, სკოლა 440 მოსწავლის ადგილით და საავადმყოფო 100 საწოლზე. გათვალისწინებულია ქობულეთის წყალსადენის სიმძლავრეთა ამოქმედება და ბათუმის წყალსადენის მშენებლობის გაგრძელება; ბინების შიდგომი გაზიფიკაცია და კანალიზაციის მშენებლობის დაწყება ქობულეთში.

მოსწავლეთა რაოდენობა საერთო-საგანმანათლებლო სკოლებში 1961 წელს მიაღწევს 1240 მილიონ მანეთს, რაც მიმდინარე წელთან შედარებით 5 პროცენტით მეტია. გაიზრდება ხორცისა და ხორცის პროდუქტების გაყიდვა 21,2 პროცენტით, რძისა და რძის პროდუქტების — 8,3 პროცენტით, შაქრისა — 7 პროცენტით. გეგმით გათვალისწინებულია მოსახლეობის მიეყიდოს მეტი ვიდრე 1960 წელს: ფეიჯი — 17 პროცენტით, ელექტრომაცივრები — 15,7 პროცენტით, სარეცხი მანქანები — 35,7 პროცენტით, პიანინოები და როიალები — 15,8 პროცენტით. შემდგომ განვითარებას პოულობს ვაჭრობის ისეთი ფორმები, როგორიცაა საქონლის გაყიდვა ნიმუშების მიხედვით შემდგომ სახლში მიტანით, ნისიად გაყიდვა.

სახალხო მეურნეობის განვითარების 1961 წლის გეგმაში ისე, როგორც წინა წლებში, განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი განათლების, მეცნიერების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარებას.

განათლების გეგმას საფუძვლად უდევს ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების კანონი. მოსწავლეთა რაოდენობა საერთო საგანმანათლებლო სკოლებში დაპროექტებულია 7,2 პროცენტის მატებით, წინაადმდეგ 1960 წლის ფაქტიური მონაცემებისა, ხოლო სკოლა-ინტერნატებში თითქმის 50 პროცენტის ზრდით. გათვალისწინებულია საწარმოო სწავლების მქონე სკოლებში მოსწავლეთა რიცხვის შემდგომი ზრდა დაახლოებით 2,5-ჯერ.

დიდდება ადგილების რიცხვი საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფებიან, ამასთან ზრდა უმჯობესად გათვალისწინებულია სოფელ ადგილებში.

ფართოვდება და უმჯობესდება უმაღლესი და სამუშაო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტების მომზადება. ყველა ფორმის სწავლების ფარგლებში სასწავლებლებში მიღება დადგენილია 12,198 კაცის რაოდენობით — მიმდინარე წლის დონეზე 500 კაცის გადაჭარბებით. ზრდა გათვალისწინებულია საკამოსო და დაუსწრებელ განყოფილებებზე მიღების ხარჯზე. სწავლების ამავე ფორმიდან იზრდება მიღება საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში და განსაზღვრება 9.045 კაცის რაოდენობით. რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები 1961 წელს გამოუშვებენ სხვადასხვა პროფილის 7,450 სპეციალისტს, ხოლო საშუალო სპეციალური სასწავლებლების მიერ გამოშვებულ სპეციალისტთა რიცხვი შეადგენს 6.800 კაცზე მეტს.

გეგმა ითვალისწინებს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, კლუბების, ბიბლიოთეკების, კინოდანადგარების ქსელის შემდგომ ზრდას, ძირითადად სასოფლო ქსელის ზრდის ხარჯზე. გათვალისწინებულია 7 სრულმტრაჟიანი მხატვრული და 27 მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტალური, სამეცნიერო-პოპულარული და მულტიფლიკაციური ფილმების წარმოება.

გეგმის პროექტი ითვალისწინებს რესპუბლიკის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისა და ჯანმრთელობის დაცვის შემდგომ გაუმჯობესებას. განზრახულია საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, სამაგრო ბაგებისა და სხვა სამედიცინო დაწესებულებების მშენებლობა. 1961 წელს სწავლების რიცხვი საავადმყოფოებში გაიზრდება 5,5 პროცენტით, მათ შორის სოფელ ადგილებში 8,7 პროცენტით.

იზრდება ადგილების რიცხვი სანატორიუმებში, ექიმთა თანამდებობების რაოდენობა და დანარჩენი სამედიცინო პერსონალის რიცხვი. გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი ასიგნებანი საკუთრობრივ მშენებლობაზე.

გეგმის დავალებების წარმატებით შესრულება დაკავშირებულია სახალხო მეურნეობის ყველა დარგში შრომის ნაყოფიერების ზრდასთან. 1961 წლის გეგმის პროექტი ითვალისწინებს მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდას 3,9 პროცენტით. ეს ნიშნავს იმას, რომ საწარმოო პროდუქციის მთელი წლიური ნამატის 75 პროცენტზე მეტი მიღებულ იქნება შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე. მშენებლობაში შრომის ნაყოფიერება უნდა გაიზარდოს 6.7 პროცენტით. გეგმა ითვალისწინებს შრომის ნაყოფიერების ზრდას სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტსა და ვაჭრობაში. სახალხო მეურნეობის დარგებში შრომის ნაყოფიერების გათვალისწინებული ზრდა განიხორციელება ტექნიკური აღჭურვილობის ზრდით.

შრომის ნაყოფიერების ზრდის დასახული ტემპების უზრუნველსაყოფად და ახალი ტექნიკის უფრო სრულად გამოსაყენებლად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კვალიფიციური , კადრების მომზადებას და მუშაოა კვალიფიკაციის ამაღლებას. მომავალ წელს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას შეემატება 16,6 ათასი კაცი, ახალგაზრდობა, რომლებმაც დაამთავრეს საერთო-საგანმანათლებლო სკოლები და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი.

1961 წლის გეგმა ითვალისწინებს მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, მიღწეულ დონესთან შედარებით 0,7 პროცენტით; სასაქონლო პროდუქციის ერთ მანეთზე დანახარჯი დაპროექტებულია 93,1 კაპიკის ოდენობით. ამ ამოცანის შესრულება და წარმოების ხარჯების შემცირება სახალხო მეურნეობას მისცემს 13 მილიონ მანეთზე მეტ ეკონომიას. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითად სახეობათა თვითღირებულების შემცირება 3,8 პროცენტით 1959 წლის დონესთან შედარებით. დაპროექტებულია შემცირდეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება 2,2 და გეოლოგო-საძიებო სამუშაოების თვითღირებულება 9,2 პროცენტის ოდენობით. დაგეგმილია შემცირდეს მიმოქცევის ხარჯები 6,5 პროცენტით.

მშრომელთა კეთილდღეობის ზრდა

ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარება წარმატებით ესრის ამოცანას — შეეუქმნათ საბჭოთა ხალხს მსოფლიოში ყველაზე უფრო მაღალი ცხოვრების დონე. ამის რეალური საფუძველია ნაციონალური შემოსავლის ზრდის მაღალი ტემპები.

1961 წელს გათვალისწინებულია საცხოვრებელი ფონდის მნიშვნელოვანი ზრდა, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდება, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ყველა ფორმის სამუშაოთა მოცულობის ზრდა. უმჯობესდება კომუნალურ საწარმოთა მაჩვენებლები — მოსახლეობისათვის წყლისა და ელექტროენერგიის სასარგებლო მიწოდება, გაზიფიცირებული ბინების რიცხვი გაიზრდება თითქმის ორჯერ.

იზრდება საქონელბრუნვა, მაღაზიების, სასადილოებისა და სამრეცხაოების ქსელი, საცალო საქონელბრუნვის მოცულობა შეადგენს 1240 მილიონ მანეთს, რაც მიმდინარე წელთან შედარებით 5 პროცენტით მეტია. გაიზრდება ხორცისა და ხორცის პროდუქტების გაყიდვა 21,2 პროცენტით, რძისა და რძის პროდუქტების — 8,3 პროცენტით, შაქრისა — 7 პროცენტით. გეგმით გათვალისწინებულია მოსახლეობის მიეყიდოს მეტი ვიდრე 1960 წელს: ფეიჯი — 17 პროცენტით, ელექტრომაცივრები — 15,7 პროცენტით, სარეცხი მანქანები — 35,7 პროცენტით, პიანინოები და როიალები — 15,8 პროცენტით. შემდგომ განვითარებას პოულობს ვაჭრობის ისეთი ფორმები, როგორიცაა საქონლის გაყიდვა ნიმუშების მიხედვით შემდგომ სახლში მიტანით, ნისიად გაყიდვა.

სახალხო მეურნეობის განვითარების 1961 წლის გეგმაში ისე, როგორც წინა წლებში, განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი განათლების, მეცნიერების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარებას.

განათლების გეგმას საფუძვლად უდევს ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების კანონი. მოსწავლეთა რაოდენობა საერთო საგანმანათლებლო სკოლებში დაპროექტებულია 7,2 პროცენტის მატებით, წინაადმდეგ 1960 წლის ფაქტიური მონაცემებისა, ხოლო სკოლა-ინტერნატებში თითქმის 50 პროცენტის ზრდით. გათვალისწინებულია საწარმოო სწავლების მქონე სკოლებში მოსწავლეთა რიცხვის შემდგომი ზრდა დაახლოებით 2,5-ჯერ.

დიდდება ადგილების რიცხვი საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფებიან, ამასთან ზრდა უმჯობესად გათვალისწინებულია სოფელ ადგილებში.

ფართოვდება და უმჯობესდება უმაღლესი და სამუშაო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტების მომზადება. ყველა ფორმის სწავლების ფარგლებში სასწავლებლებში მიღება დადგენილია 12,198 კაცის რაოდენობით — მიმდინარე წლის დონეზე 500 კაცის გადაჭარბებით. ზრდა გათვალისწინებულია საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე მიღების ხარჯზე. სწავლების ამავე ფორმიდან იზრდება მიღება საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში და განსაზღვრება 9.045 კაცის რაოდენობით. რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები 1961 წელს გამოუშვებენ სხვადასხვა პროფილის 7,450 სპეციალისტს, ხოლო საშუალო სპეციალური სასწავლებლების მიერ გამოშვებულ სპეციალისტთა რიცხვი შეადგენს 6.800 კაცზე მეტს.

გეგმა ითვალისწინებს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, კლუბების, ბიბლიოთეკების, კინოდანადგარების ქსელის შემდგომ ზრდას, ძირითადად სასოფლო ქსელის ზრდის ხარჯზე. გათვალისწინებულია 7 სრულმეტრაჟიანი მხატვრული და 27 მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტალური, სამეცნიერო-პოპულარული და მულტიფლიკაციური ფილმების წარმოება.

გეგმის პროექტი ითვალისწინებს რესპუბლიკის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისა და ჯანმრთელობის დაცვის შემდგომ გაუმჯობესებას. განზრახულია საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, სამაგრო ბაგებისა და სხვა სამედიცინო დაწესებულებების მშენებლობა. 1961 წელს სწავლების რიცხვი საავადმყოფოებში გაიზრდება 5,5 პროცენტით, მათ შორის სოფელ ადგილებში 8,7 პროცენტით.

იზრდება ადგილების რიცხვი სანატორიუმებში, ექიმთა თანამდებობების რაოდენობა და დანარჩენი სამედიცინო პერსონალის რიცხვი. გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი ასიგნებანი საკუთრობრივ მშენებლობაზე.

გეგმის დავალებების წარმატებით შესრულება დაკავშირებულია სახალხო მეურნეობის ყველა დარგში შრომის ნაყოფიერების ზრდასთან. 1961 წლის გეგმის პროექტი ითვალისწინებს მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდას 3,9 პროცენტით. ეს ნიშნავს იმას, რომ საწარმოო პროდუქციის მთელი წლიური ნამატის 75 პროცენტზე მეტი მიღებულ იქნება შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე. მშენებლობაში შრომის ნაყოფიერ

ეს მათი საახალწლო ნოგათი

ქართულია, კარგია!

გამოძახილი უცხოეთის დარგაზეგში

უკანასკნელი ფურცლები დარჩა კალენდარზე, ცოტაც, და ისტორიის კუთვნილება გახდება ძველი წელი. რამდენი სიხარული, აღტაცება განგვაცდევინა ამ წელმა. მას მადლიერებით მოიხსენიებს როგორც მუშა და გლეხი, ისე ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქე, მწერალი იქნება ის თუ მეცნიერი, კომპოზიტორი თუ მხატვარი, მსახიობი თუ სპორტსმენი.

ხალხი ამაყობს რჩეული ადამიანებით. ერის ნიჭიერება, სიდიადე გამოსჭვივის მეცნიერებაში, მწერლობაში, ხელოვნებასა და... სპორტშიც. და ჩვენს მომღერლებს, ჩვენს მოცეკვავეებს, სპორტსმენებს განა მარტო ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა გულამდე მიაქვთ ქართული ბანგის სიტკბოება, ქართული ქოროგრაფიის სინარნარე, ვაჟკაცური შემართება, ქართველ სპორტსმენთა სიფიცხე, სისწრაფე და სიჩაუქე! ქართულმა სიმღერებმა, ცეკვებმა, ფეხბურთმა, ჭიდაობამ, კალათბურთმა... საყოველთაო აღიარება ბჰოვეს მთელ მსოფლიოში. უცხოეთის ქალაქების მრავალათასიანი საკონცერტო დარბაზები და სტადიონები ზანზარებენ მაყურებელთა ტაშისაგან, რომლითაც ისინი ქართული ხელოვნების მუშაკებს და სპორტსმენებს აჯილდოებენ.

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულმა ანსამბლმა ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის მხატვრული ხელმძღვანელობით „ფეხის წვერებით შემოიარა“ ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფო, ოკეანეს „გადაევლო“ და მეორე კონტინენტს გადასწვდა. ოკეანეს გაღმელი მაყურებელი ხუთი თვის განმავლობაში განუწყვეტლივ უყრავდა მათ ტაშს.

საქართველოს სახელმწიფო დამსახურებულ კვარტეტს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ბ. ჭიაურელის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტების გ. ხატიაშვილის, ა. ბეგალიშვილისა და გ. ბარნაბიშვილის შემადგენლობით თხუთმეტიოდე წლის ისტორია აქვს. კვარტეტმა შესანიშნავი საშემსრულებლო ოსტატობით დიდი საქმე გააკეთა ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების პოპულარიზაციის საქმეში. იგი მაისში და ივნისში კონცერტების გასამართავად ჩეხოსლოვაკიაში იმყოფებოდა. „ნეტავი, გოგო, მე და შენის“, „გაფრინდი, შავო მერცხალოს“ და „საჭიდაოს“ მელოდიებმა დაატყვა მსმენელები.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მაყურებელთა წინაშე დიდი წარმატება ხვდა საქართველოს სახალხო არტისტს მერი ნაკაშიძეს. აქ ერთი თვით გასტროლებზე იმყოფებოდა ავრეთვე ვოკალური ტრიო მარეხ გოძიაშვილის, კ. მაკარიძისა და ა. ებრალიძის მონაწილეობით.

რამდენიმე ხნის წინათ პოლონეთში თავიანთი გამოსვლები დაამთავრეს ქართული ცეკვების საუკეთესო შემსრულებლებმა ლეილა თათიშვილმა და ნიკოლოზ დვაბერიძემ. დიდი წარმატება ხვდა მათ მიერ შესრულებულ ცეკვა „ქართულს“.

ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის ქართული ცეკვები ახალი ხილი როდია, მაგრამ იმდენად დიდია მოწონება ჩვენი ქოროგრაფიისა, რომ ახლახან კვლავ ეწვივნენ და იქაური მაყურებელი განაცვიფრეს ომარ ჩხეიძემ, თენგიზ სუხიშვილმა, თამაზ ტალახაძემ და ენვერ ჭკუასელმა.

სამ საუკუნეზე მეტ ხანს გმინავდა აჭარა თურქი ფაშების უღელქვეშ. დამპყრობლებმა ვერ შეძლეს აჭარლებისათვის დაევიწყებინათ ქართული. შვილი კვლავ დედას დაუბრუნდა, ხარობს მზიური მხარის ყველა მკვიდრი. ის სიხარული რა იქნება, თუ იგი თავისუფალ ჭიდაობაში გიორგი სხირტლაძემ და ვერცხლის მედალი მოიპოვა. ვეფხვივით იბრძოდა მსოფლიოს სამგზის ფალავანი გივი კარტოზია. მასთან პირისპირ შებმას ყველა მოწინააღმდეგე ერიდებოდა, ხალჩიდან გაურბოდა, და აბა რა „გასაკვირველია“, რომ ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ახალბედა მოჭიდავის ვლადიმერ რუბაშვილის ყოველ გამოსვლას მაყურებელი მოუთმენლად ელოდა. იგი პირველად გამოდიოდა ასეთ დიდ ასპარეზობაში და ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა.

კალათბურთსა და წყალბურთში საბჭოთა ნაკრები გუნდების სული და გული იყვნენ ტემპერამენტიანი გურამ მინაშვილი, „ფრინველად“ მონათლული ვლადიმერ უგრინელიძე, აგრესიული გივი ჩიქვანია, ჯადოქარი მეკარე ლერი გოგოლაძე. მათ მკერდს დღეს ოლიმპიური ვერცხლის მედლები ამშვენებს.

საქართველოს სპორტსმენებმა ოლიმპიურ ასპარეზობაზე უკან ჩამოიტოვეს საფრანგეთის, ფინეთის, დანიის, ბულგარეთის, ჰოლანდიის, შვეიცარიის, ავსტრიის, კანადის, ბრაზილიის, არგენტინის, ინდოეთის, ესპანეთის, საბერძნეთის და მრავალი სხვა სახელმწიფოს გუნდები.

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდს კარგად იცნობენ მსოფლიოს ყველა ქვეყნის სპორტის მოყვარულები. მათ არაერთხელ დაუმსახურებიათ უცხოეთის გაზეთებისა და მაყურებლების მაღალი შეფასება. წელს ქართველი ფეხბურთელები ინგლისში იყვნენ. ფეხბურთის კლასიკურ ქვეყანაში ქართული სიფიცხე, მოქნილობა, სიმკვიცხლე აჩვენეს ავთანდილ ღოღობერიძემ, შოთა იამანიძემ, მიხეილ მესხმა, გივი ჩობელმა, სერგო კოტრიკაძემ, ვლადიმერ ბარქაია...

ქართველი კალათბურთელები წელს ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მონაწილეობდნენ და დიდხანს დაამახსოვრდებათ ბულგარელებს, პოლონელებს, რუმინელებს ჩვენი სპორტსმენების ლამაზი, ეფექტური თამაში. ასევე ითქმის თბილისელ წყალბურთელებზე, რომლებმაც უნგრეთში შესანიშნავად ჩაატარეს ტურნე.

მრავალ ახალს წელს შეხვდნენ ჩვენი მომღერლები, მოცეკვავეები, ჩვენი სპორტის ოსტატები ასეთი კარგი მაჩვენებლებით. მათ ყველგან და ყოველთვის ესახელებინოთ საბჭოთა ქვეყანა, ჩვენი მშობლიური საქართველო.

ბაკურ ბახტურიძე.



ქართველმა ვაჟებმა და ქალებმა მოხიბლეს უცხოელი მაყურებელი

პარიზი პროვოკაციას უწევს მშვიდობას

ბელგიაში გაფიცულია ციათასი მუშა

საფრანგეთის აგრომური საფრთხე

დანაშაული საჰარაში, „პარიზი პროვოკაციას უწევს მშვიდობას“, — ასეთი ახასიათებს დღეს მსოფლიო საზოგადოებრიობა და პრესა ატომური იარაღის გამოცდას, რომელიც საფრანგეთმა მოაწყო აფრიკაში.

ბერლინის გაზეთი „დერ მორგენი“ ამ აფეთქებას უწოდებს „მშვიდობისადმი ხალხთა მისწრაფების ცინიკურ აბუჩად აგდებას“.

საფრანგეთის მთავრობამ ატომური ბომბის მორიგი აფეთქება განახორციელა მაშინ, როცა მთელი კაცობრიობა მოელის ომის შეწყვეტას ალჟირში, განიარღებასა და მასობრივი მოსპობის საშუალებათა აკრძალვას, განაცხადა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) კარლ-მარქს-შტადტის ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ჯორტ შტრმლერმა.

საფრანგეთი აშკარა საბოტაჟს უწევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეკომენდაციას, რომ არ დაიწყოს ატომგულის იარაღის რაიმე გამოცდა, აცხადებს შვეიცის გაზეთი „ნიუ დაგი“. ეს გარემოება ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს, იმას, რომ საჭიროა დიდი სახელმწიფოები მალე შეთანხმდნენ ატომგულის იარაღის გამოცდის აკრძალვაზე. შვეიცის მეორე გაზეთი „დაგენს ნიუჰეტერი“ აღნიშნავს, რომ საფრანგეთს მიერ განხორციელებული ატომური აფეთქება ძალზე უადგილოა და იგი ვერ აუმჯობესებს პირობებს საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისს შეთანხმებისათვის, რომლებიც მოლაპარაკებას აწარმოებენ ეენევაში ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ.

მაროკოს ინფორმაციისა და ტურიზმის მინისტრმა ალაუიმ მოაწყო პრეს-კონფერენცია, რომელზეც განაცხადა, რომ ცნობას რეგანში საფრანგეთის მესამე ატომური ბომბის აფეთქების შესახებ აღშფოთებით შეხვდნენ მაროკოში. ხაზი გაუსვა რა, რომ ატომური ბომბის აფეთქება აფრიკის სახელმწიფოთა მეთაურების კასაბლანკის კონფერენციის წინ პროვოკაციაა მთელი აფრიკის კონტინენტის წინააღმდეგ, მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ კონფერენცია განიხილავს საფრანგეთის მთავრობის მტრული მოქმედების საკითხს. რაც შეეხება მაროკოს, იგი სათანადო ღონისძიებებს მიიღებს.

დანიის პრესა, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობს საფრანგეთის მიერ ახალი ატომური ბომბის აფეთქებას, იუწყება პროტესტების ფართო ტალღაზე ევროპის, აზიისა და აფრიკის კონტინენტების ბევრ ქვეყანაში. გაზეთი „ლანდ ოგ ფოლკი“ სარედაქციო სტატიაში წერს, რომ „ატომური აფეთქება, რომელიც საფრანგეთმა მოაწყო, მთელი კაცობრიობისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აშკარა გამოწვევაა. ეს გამოწვევა მით უფრო აღმაშფოთებელია, რომ საფრანგეთი არის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი“.

ტელეგრაფი გვატყობინებს

კუბელთა გულისწყრომა

ჰავანა, 29 დეკემბერი. (საკდესი). ტერორისტთა და კონტრრევოლუციონერთა ახალმა ბარბაროსულმა დანაშაულმა — ბომბის აფეთქებამ ჰავანის ერთ-ერთ უნივერსალურ მაღაზიაში, რის შედეგადაც ხერიოზულად დაშავდა 15 კაცი, მათ შორის ბავშვები და ქალები, — მთელი კუბელი ხალხის მრისხანე გულისწყრომა გამოიწვია. კუბელები ერთსულოვნად მოითხოვენ დამნაშავეთა უაღრესად სასტიკ დასჯას.

ლაოსში ბრძოლა გრძელდება

ვიენტიანი, 29 დეკემბერი. (საკდესი). რადიოსადგურმა „პატეტლაოს ხმამ“ გუშინ გადასცა პარტია ნეო ლაო ჰაკ სატის ვიენტიანის პროვინციის ორგანიზაციის ხელმძღვანელობის განცხადება ბრძოლების შესახებ ლაოსის დედაქალაქ ვიენტიანში.

იმისათვის, რომ სიცოცხლე შეუნარჩუნოს ქალაქის მშვიდობიან მოსახლეობას და თავიდან აიცილოს ამაო მსხვერპლი, დაიცვას ქალაქის ისტორიული ძეგლები და ფასეულობანი, ნათქვამია განცხადებაში, პრინც სუვანა ფუმას მთავრობამ უბრძანა თავის ჯარებს დატოვონ ქალაქი და განაგრძონ ბრძოლა მის ფარგლებს გარეთ.

სპორტის ამბავი

„ოთხი ტრამპლინის ტურნე“

ევროპის უძლიერეს მოთხილამურეთა ასპარეზობა, ან როგორც მას უწოდებენ — „ოთხი ტრამპლინის ტურნე“ — ტრადიციული შეჯიბრება გახდა, წელს ეს შეხვედრები მოეწყობა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ავსტრიაში.

ამ ორი ქვეყნის ოთხ ტრამპლინზე ერთმანეთს პირველობას შეეცილებიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იუგოსლავიის, ავსტრიის, იტალიის, ნორვეგიის, შვეიცარიისა და შვეიცარიის ტრამპლინიდან მხტომელები.

უძლიერესთა ამ ასპარეზობაში გამოვლენ სსრ კავშირის მოთხილამურეებიც. 27 დეკემბერს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაემგზავრნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები — ბაკურიანელი კობა წაქაძე, ნ. ალმენსკი, ნ. შამოვი, ვ. ივანიკოვი (მოსკოვი) და ი. ზუბარევი (სვერდლოვსკი).

ევროპის სხვა ქვეყნების წარმომადგენელთა შორის იქნებიან — ოლიმპიური ჩემპიონი ჰელმუტ რეინგალი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), ოლიმპიური ჩემპიონი ზამთრის ორჭიდში გეორგ თომა (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) და სხვ.

ამინდი

31 დეკემბერსა და 1 იანვარს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, დროგამოშვებით ნალექი, ცვლადები მიმართულების სუსტი ზომიერამდე ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 1 გრადუსი ყინვა, 4 გრადუსი სითბო; დღისით 6-11 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 0,5 გრადუსი ყინვა, დღისით 0,5 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ ნალექი. ცვალებადი მიმართულების სუსტი ზომიერამდე ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 4 გრადუსი ყინვა, 1 გრადუსი სითბო. დღისით 2-7 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 3-8 გრადუსი ყინვა, დღისით 2 გრადუსი სითბო.

რედაქტორის მოადგილე
გ. ვარდოსანიძე.

30 დეკემბერი

თეატრები: ს. ფალიაშვილის სახელობის — ტოსკა (დღისით), ტრავიატა (საღამოს, მე-13 ამბ. მე-4 წარმ.), რუსთველის სახელობის — როცა ასეთი სიყვარულია (დღისით), ფილოსოფის დოქტორი (საღამოს), მარჯანიშვილის სახელობის — მე, ბებია, ილიკო და ილარიონი (დღისით), რაც გინახავს, ეეღარ ნახავ (საღამოს), გრიბოედოვის სახელობის — სახიფათო ასაკი, ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — რაც გინახავს, ეეღარ ნახავ (რკინიგზელთა სახლში),

ჩვენი მისამართი და ტელეფონები: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80. სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა დ. ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-73-24, ინფორმაციის — 3-16-90, ილუსტრაციო — 3-20-48, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42.

УЭ 08937 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

ბელგია გორგავს

პარიზი, 28 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი გ. დრაგუნოვი იუწყება: ასიათასი კაცი გამოვიდა გუშინ ბელგიის ქალაქების ქუჩებში, რათა მტკიცე პროტესტი განეცხადებინათ „სასიზღვარი კანონ-პროექტის“ წინააღმდეგ — როგორც უწოდებენ ეისკენსის მთავრობის კანონპროექტს მშრომელთა ინტერესების ხარჯზე „მომჭირნეობის“ შესახებ. ბრიუსელში, ლიეჟში, შარლერუაში დემონსტრანტთა კოლონებმა ქუჩებში ჩაიარეს ლოზუნგებით: „ძირს ეისკენსის მთავრობა!“, „გაფიცეა საბოლოო გამარჯვებამდე!“, „სოციალისტებო, კომუნისტებო, ლიბერალებო, კათოლიკეებო — ჩვენ ერთიანი ვართ ბრძოლაში!“ ბრიუსელში დემონსტრანტთა რიგებში იყვნენ პარლამენტის ოპოზიციური პარტიების დეპუტატები, მთელი რიგი თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები. ლიეჟის მთავარ მოედანზე გაიმართა თხუთმეტათასიანი მიტინგი, რომელზეც გამოვიდნენ კომუნისტური და სოციალისტური პარტიების და პროფკავშირების ხელმძღვანელები. ერთსულოვანი დადებითი პასუხი გასცა უზარმაზარმა მოედანმა მოწოდებას, რომ გაგრძელდეს საგაფიცო ბრძოლა მშრომელთა გამარჯვებამდე. ლიეჟის სამრეწველო რაიონის უდიდესი ქარხნების დელეგაციები წითელი ალმებით დაიძრნენ ქალაქის რატუშისაკენ. „ეისკენსი გადადგეს!“, „ძირს საზიზღარი კანონპროექტი!“.

ბელგიის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს გამოქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნავს, რომ 27 დეკემბრის მძლავრი დემონსტრაციები „ხაზს უსვამენ გაფიცვის ძალას, მის ზრდასა და იმას, რომ ჩაიფუშა მთავრობის ცდები წინააღმდეგობა გაეწია გაფიცვისათვის. მთავრობა ვალდებულია მოიწვიოს პარლამენტი და გამოაცხადოს, რომ უკან მიაქვს თავისი კანონპროექტი, რომელიც მთელი ბელგიის ასეთი აღშფოთება გამოიწვია“.

ამჟამად საყოველთაო გაფიცვის მონაწილეთა რიცხვმა უკვე 600 ათასს მიაღწია.

გაფიცული მუშაფა კლასის არმიას ახალი შევსება შეემატა. ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში — დღეიდან ქალაქის ქუჩებში არ გამოვა არც ერთი ტრამვაი, არც ერთი ავტობუსი. დადგა ელექტროსადგური. დაიხურა დიდი უნივერსალური მაღაზიები. გაჩერდა თითქმის ყველა სტამბის საროტაციო მანქანები. გაფიცვა სულ უფრო შორს ვრცელდება ჩრდილოეთისაკენ. წარუმატებლად დამთავრდა ხელისუფალთა ცდები ჩამოეშორებინათ ფლანდრიის მოსახლეობის ყურადღება მძლავრი საგაფიცო მოძრაობისგან, რისთვისაც იყენებდნენ ბელგიის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილის მოსახლეობის ეროვნულ სხვადასხვაობას. ამას მოწმობს, კერძოდ, ის, რომ გუშინ დემონსტრანტთა კოლონებში დაინახავდით ასეთ ლოზუნგს: „ვალონელები და ფლამანდიელები ერთიანი ვართ!“

მთავრობა ყოველნაირად ცდილობს წინააღმდეგობა გაუწიოს გაფიცვას. როგორც გაზეთ „ლუმანიტეს“ კორესპონდენტი იუწყება, ჟანდარმებს დაეკვეთ ფოსტა, გვიან ქუჩებს და სხვ., რასაც გაფიცულნი დაცინვით ხვდებიან. შტრაიკბრეხერთა უბადრუკ ჯგუფებს არ ძალუძთ უზრუნველყონ საქალაქო მეურნეობის მუშაობა, ამასთან მათ გზას უღობავენ გაფიცულთა პიკეტები.

მთავრობამ გასცა განკარგულება ბელგიაში გადაიყვანონ ბელგიის ჯარის ნაწილები, რომლებიც განლაგებულ არიან დასავლეთ გერმანიაში ნატოს ხელშეკრულების შესაბამისად.

თავისუფლება გოას!

დელი, 29 დეკემბერი. (საკდესი). „გოა თავისუფლეთ გოა!“ — ასეთი სათაურით ყოველკვირეულმა „დელი ტაიმსმა“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ნათქვამია, რომ გოას, დამანისა და დიუს მოსახლეობა, რომელიც ჯერ კიდევ იტანჯება სალაზარის ფაშისტური დიქტატურის იმპერიალისტური ბატონობის გამო, იბრძვის თავისუფლებისა და ინდოეთის კავშირთან თავისი ტერიტორიის შეერთებისათვის. „გოაში, დამანსა და დიუში უცხოელთის ბატონობის ლიკვიდაციის პრობლემა, — ხაზგასმულია სტატიაში, — კიდევ უფრო გადაუდებელი გახდა იმიტომ, რომ პორტუგალიის ეს ბატარა ტერიტორიები ინდოეთის დასავლეთის სანაპიროზე ახლა საერთაშორისო ინტრიგებისა და კონტრაბანდის კერაა და იქცევა სამხედრო ბაზებად ნატოში შემავალი სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოების აქტიური წაქეზებით“.

გოას ტერიტორია ამჟამად, განაგრძობს „დელი ტაიმსი“, წარმოადგენს შეიარაღებულ სამხედრო ბანაკს, რომელშიც თავმოყრილი არიან ნატოს უახლესი იარაღით აღჭურვილი სამხედრო მოსამსახურეები. ამ სამხედრო ბატონობის დროს გოას მოსახლეობა განიცდის აუტანელ ტანჯვასა და სიძნელეებს და ყოველგვარ დამცირებას.

გიგანტი ტელესკოპი

დაბა ნაუჩნი (ყირიმის ოლქი). 28 დეკემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ყირიმის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში დამთავრდა სარკისებრი ტელესკოპის მონტაჟი, რომელიც უდიდესია სსრ კავშირსა და ევროპაში. ამ უნიკალური ინსტრუმენტის მთავარ სარკეს აქვს 2,6 მეტრი დიამეტრი. იგი შეკრებს 250 ათასჯერ მეტ სინათლეს, ვიდრე ადამიანის თვალი. მთავარი სარკე იწონის ოთხ ტონას, ხოლო მთელი ტელესკოპი — 105 ტონას.

ამ ტელესკოპის დახმარებით ასტრონომები შეძლებენ გადაწყვიტონ თანამედროვე ასტროფიზიკის აქტიური პრობლემები — შეისწავლონ პროცესები, რომლებიც მიმდინარეობენ სამყაროს სივრცის შორეულ ადგილებში. ახალი ინსტრუმენტი ძლიერ აფართოებს ისეთ უახლოეს კოსმოსურ სხეულთა გამოკვლევის შესაძლებლობებს, როგორიცაა მთვარე, პლანეტები, აგრეთვე პლანეტათშორისი მატერია.



უოლ-სტრიტის ახალი წლის კალენდარი.

ნახ. მ. ოთაროვისა.

სიდის დაშნა — აუქციონერის ჩაქუჩი

ადამიანის გონებისათვის ძნელი, შეუძლებელი იყო შერიგებოდა იმ აზრს, რომ ეერარ ფილიპი მოკვდა. მხიარული ფანფან-ტიულპანი და სიცოცხლით სავსე ტილ ულენშპიგელი. რა შეიძლებოდა ყოფილიყო მათგან ისე შორს, როგორც სიკვდილი? მაგრამ იგი მოვიდა, მოულოდნელი.

აი უკვე ერთ წელიწადზე მეტია იხდება ფარდა პარიზის სახალხო თეატრში ისე, რომ იქ ეერარ ფილიპი არ არის, აი უკვე ერთ წელიწადზე მეტია აღარ მოჩანს მისი კეთილშობილური პროფილი ახალ ფილმებში კინოთეატრების ეკრანებზე. სულ უფრო ნაკლები ხალხი მიდის ვილა „ლა რუიეში“ ლაუვარდოვან ნაპირზე ნიცაში და კანას შუა, სადაც გამოჩენილი მსახიობის ნეშტი განისვენებს.

მაგრამ არიან საფრანგეთში ადამიანები, რომლებსაც არ დავიწყებიათ იგი. ისინი მას ყოველ წუთს თუ არა, ყოველ საათს იხსენებენ. ისინი მის აჩრდილს დასდევენ თაყვანისმცემელი ფსიქოპათი ქალების კერპობით. ისინი ხარბად აგროვებენ მის ავტოგრაფებსა და სუვენირებს — საბავშვო სათამაშოებით დაწყებული და შენობებით დამთავრებული. და, როგორც ეს თაყვანისმცემელ ქალებშია შემოღებული, თავს აბეზრებენ მის მეუღლეს.

ვინ არიან ისინი, ეერარ ფილიპის ხსოვნის ერთგული ეს ადამიანები?

ესენი არიან საგადასახადო სამმართველოს მოხელეები. ფილიპის ავტოგრაფების — მისი სავალო ხელწერილების უნიკალური კოლექციის მფლობელნი, ისინი ყველა საუკეთესოდ ცდილობენ ფულად აქციონ ეს ხელწერილები.

მრავალი წლის მანძილზე კლასის ფერფლი უკაკუნებდა ეერარ ფილიპის გულს. კინოში ტილ ულენშპიგელის როლის შესრულება მისი სანუკვარი ოცნება იყო. მაგრამ ფილმი მხიარული ფლამანდიელი გიოზის, სახალხო გმირის და თავისუფლებისათვის მებრძოლის შესახებ არ ხიბლავდა პროდიუსერებს.

— როცა ფილიპი საყვარლების როლს თამაშობს, ჩვენი ქეხა მისთვის გახსნილია, რადგან შემოსავლის მხრივ ასეთი ფილმის წარმატება უზრუნველყოფილია, — მსჯელობდნენ ისინი, — მაგრამ ფილიპი ულენშპიგელის როლში? დიდ მადლობას მოგახსენებთ. ფული მიწაზე კი არა ყრია.

ეერარ ფილიპი იძულებული იყო ფილმი ულენშპიგელის შესახებ საკუთარი რისკით, საკუთარი ფულით დაედგა. საჭირო გახდა ვალების აღება, რომელთა გასტუმრებაში მას ხელი შეუშალა ნაადრევმა სიკვდილმა. და თვითონ სიკვდილიც ბევრ რამეში ამ ვალების სასტიკი პროცენტი იყო. მეკვალეთა მუხრუჭებისათვის თავი რომ დაეღწია, ეერარ ფილიპი ძალიან ბევრს მუშაობდა, სცენაზე თამაშობდა, კინოსურათებში მონაწილეობდა. ამან საბოლოოდ შეარყია მისი ჯანმრთელობა. კლასის ფერფლი უკაკუნებდა მის გულს, საგადასახადო სამმართველოს მოხელეები — მის კარს.

ეს კაკუნი მსახიობის სიკვდილის შემდეგაც არ შეწყვეტილა. იგი მას საფლავში სდევს. იგი სდევს განსვენებულის ქვრივს ანა ფილიპასაც დღისით და ღამით. და მის გვერდით არ არის უშიშარი ფანფან-ტიულპანი ან კეთილშობილი სიდი — დონ როდრიგო, რომლებსაც შეეძლოთ ეშიშვლებინათ თავიანთი დაშნები და გამოსარჩლებოდნენ მას, თუმცა საეჭვოა, რომ იმათაც შესძლებოდათ დაეცვათ მარტოხელა ქალი. თანამედროვე საფრანგეთში აუქციონერის ჩაქუჩი რაინდის დაშნაზე ძლიერია...

ეერარ ფილიპი.

• • •

და აი საჯარო ვაჭრობით იყიდება ეერარ ფილიპის ქონება — უძრავი და მოძრავი, ავეჯი და პირადი ნივთები. მისი შვილების — ოთხი წლის ვაჟისა და ექვსი წლის ქალიშვილის სათამაშოებიც კი აუქციონით გაიყიდა. საგადასახადო სამმართველო პარმის სავანე როდი გახლავთ, იქაურობისათვის უცხოა ყოველგვარი სენტიმენტალობა. ამჟამად ისინი უმიზნებენ ვილა „ლა რუიეს“ ლაუვარდოვან ნაპირზე, რომლის ახლოს დაკრძალულია ეერარ ფილიპი.

ნუთუ მთელ მის დამსახურებას საფრანგეთის წინაშე, მისი ხელოვნების წინაშე გროშის ფასი არა აქვს, არ ძალუძს დაფაროს ვალი, რომელიც მან აიღო სწორედ ამ ხელოვნების გულისათვის?

მაგრამ ულმობლად გაისმის აუქციონერის ჩაქუჩის კაკუნი...

იგი დაკრძალეს სიდის კოსტიუმით გამოწყობილი.

ახლა ტანთ ხდიან მის ოჯახს.

მელორი სტურუა.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

31 დეკემბერსა და 1 იანვარს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, დროგამოშვებით ნალექი, ცვლადები მიმართულების სუსტი ზომიერამდე ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 1 გრადუსი ყინვა, 4 გრადუსი სითბო; დღისით 6-11 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 0,5 გრადუსი ყინვა, დღისით 0,5 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ ნალექი. ცვალებადი მიმართულების სუსტი ზომიერამდე ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 4 გრადუსი ყინვა, 1 გრადუსი სითბო. დღისით 2-7 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 3-8 გრადუსი ყინვა, დღისით 2 გრადუსი ყინვა, 3 გრადუსი სითბო.

რედაქტორის მოადგილე
გ. ვარდოსანიძე.